# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 14 ივნისი 2002 №108 (1630) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# იტალიას ახალი წმინდანი ჰყავს

## დარიო გომესმა ეკვადორი შინ წაიყვანა, სკუადრა აძურა კი მერვედფინალში გაიყვანა







REUTERS ფოტო

მექსიკელებთან ფაბიო კანავარო (№5) და იტალიელები საწადელს ბოლოსღა ეწივნენ, თუმცა ერნან დარიო გომესი რომ არა, ჯოვანი ტრაპატონის საქმე შავად იქნებოდა

გუშინ „სკუადრა აძურა" ტრადიციული უფსკრულის პირას იდგა, როგორც თითქმის ყოველთვის, როცა მუნდიალებზე ჯგუფური ტურნირები სრულდება. იტალია მუდამ უკიდურესი გაჭირვებით, ბოლო წუთებზე შეგდებული გოლებითა და სხვა ნაკრებთა სიყოჩაღის ხარჯზე თუ შეეკვეხება ხოლმე მერვედფინალში გასულ გუნდთა ნუსხაში, რათა მერე აინყვიტოს და ჩემპიონის პოზიცია ან მისი მისადგომები დააჭაშნიკოს. გუშინ იტალიას რჩებოდა სულ 5 წუთი მექსიკის კარში საპასუხო გოლის შესაგდებად და ესეც არ იკმარებდა, წინა ტურის გმირ ხორვატებს მთვარეულებივით რომ არ ერბინათ მოედანზე და ნული ქულის პატრონ ეკვადორთან არ წაეგოთ. დონ ჯოვანი ტრაპატონიმ, ღმერთმა გადმოგვხედა და ხორვატიასთან მსაჯთაგან გაწირვისთვის სამაგიერო გვიზღაო, მაგრამ „აძურთა" ღმერთი გუშინ დარიო გომესი უფრო იყო, ვისმა ბიჭებმაც ხნიერ და გაზულუქებულ სლავებს ადგილი მიუჩინეს.

ხოლო C ჯგუფში თურქებმა ლათინთა შეთქმულება „გახსნეს". მათი ვერსიით, ბრაზილია და კოსტა რიკა ქულებს გაიყოფდნენ და თავად გავიდოდნენ მერვედფინალში, მაგრამ იანიჩართა სიტყვები უვარგისი გამოდგა: ბრაზილია — კოსტა რიკის დარი მატჩი ამ მუნდიალზე ჯერ არ ყოფილა და ფეხბურთის ესთეტები მას კიდევ დიდხანს და ბევრჯერ ნახავენ. ერთმანეთზე უკეთესი 7 გოლი, ბევრად მეტი საგოლე მომენტი, გახსნილი ფეხბურთი და ფიქრი მხოლოდ შეტევაზე — ეს პელეს დროს იყო...

# კორეა-იაპონია 2002
## C ჯგუფი. III ტური
# №41 კოსტა რიკა 2:5 ბრაზილია

13 ივნისი. სუვონი (კორეა). 11.30 „სუვონ უორლდ კაპ სთადიუმ". 38 524 მაყურებელი

0:1 მარინი (10ს.კ.), 0:2 რონალდო (13), 0:3 ედმილსონი (38),
1:3 ვანჩოპე (39), 2:3 გომესი (56), 2:4 რივალდო (62), 2:5 ჟუნიორი (64)

მწვრთნელი
ალექსანდრე გიმარაეში

1 ლონისი
5 ჟ. მარტინესი — 3 მარინი — 4 რაიტი
8 სოლისი — 6 ვ. ლოპესი
15 უოლესი — 10 სენტენო — 22 კ. კასტრო
9 ვანჩოპე — 11 რ. გომესი

9 რონალდო — 20 ედილსონი
10 რივალდო
16 ჟუნიორი — 2 კაფუ
19 ჟუნინიო
8 ჟილბერტო სილვა
5 ედმილსონი — 3 ლუსიო — 14 ანდერსონ პოლგა
1 მარკოსი

მწვრთნელი
ლუიშ ფელიპე სკოლარი

შეცვლა: უოლესი – 16. ბრისი (46), ედილსონი – 15. კლებერსონი (57), ჟუნინიო – 7. რიკარდინიო (60), სოლისი – 7. ფონსეკა (65), რივალდო – 23. კაკა (72), მარტინესი – 12. პარკსი (74)

გაფრთხილება: კაფუ (90)

მსაჯები: ჯამალ ლანდური (ეგვიპტე);
ვაგიჰ ფარაგი (ეგვიპტე), ეგონ ბერიუტერი (ავსტრია)

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 6 |
| 14 | კუთხური | 6 |
| 17 | კარისკენ დარტყმა | 12 |
| 9 | კარში დარტყმა | 7 |
| 3 | თამაშგარე | 8 |

# რას გვინახავს, კიდევ ვნახავთ?
## წინდახედული უკან მოიხედავს




REUTERS სურათზე

რონალდომ კოსტარიკელ მცველებს საქმე არ გამოულია

პაატა კვანტალიანი

**ვიცი,** რომ გინდოდათ ამის ნახვა — ეშხიანი, გახსნილი, უკანმოუხედავად შემტევი, დაცვამივიწყებული ბრაზილიელები... ვერც კი ვიხსენებ ასეთი ძველბრაზილიური ფეხბურთი ბოლოს როდის ითამაშა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა. ძველია, მაგრამ ოქროა, ოქრო...

მსოფლიოს ახალი ჩემპიონის თამაში ხომ არ გვინახავს? ვინ იცის. იქნებ ვნახეთ კიდეც. გუშინ ბრაზილიამ ერთი საჩემპიონო თვისება გამოამჟღავნა — თავისთვის არაფრის მომცემ მატჩში, ბოლო წუთამდე დაიხარჯა. სკოლარის ბიჭებისთვის შეხვედრა არაფრისმომცემი განსაკუთრებით სადებიუტო 2:0-ის შემდეგ იქცა, ეშხიანი კოსტა რიკა ცამეტ წუთში მომხდარს სათავისოდ ველარ შეატრიალებდა, მაგრამ ბრაზილია მაინც ბოლომდე მიჰყვა გულდაგულ დაწყებულ საქმეს. ეს კი იმაზეც მიანიშნებს, რომ „დიდი ფილის" შეგირდები გამარჯვებაზე დაგეშილნი არიან და სათამაშო პიკსაც უახლოვდებიან. ვინ იტყვის, რომ სამხრეთამერიკელები მატჩიდან მატჩამდე არ აუმჯობესებენ სათამაშო ხარისხს — ოფლის ღვრა თურქეთთან, გადარბენა ჩინეთთან და გონიერებით შეზავებული იმპროვიზაცია კოსტა რიკასთან.

გუნდურ პოტენციალს რომ თავი დავანებოთ, ისიც შევნიშნოთ, რომ ცალკეულ ფეხბურთელთა შესაძლებლობებიც მატჩიდან მატჩამდე იზრდება. ბრაზილია მრისხანე ძალად ყალიბდება და ცოტა დაცვისკენაც რომ მიიხედოს... დაცვა... ერთი შეხედვით უხერხულიც კია კოსტა რიკა ბრაზილიასთან 10-მდე საგოლე მომენტს ქმნიდეს, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სათადარიგოთა სკამზე იჯდა რობერტო კარლოსი და გუშინდელი მატჩის თვალსასეირობა კოსტარიკელთა თავზეხელაღებულობამაც განაპირობა. ცხრა წუთში საცოდავ ჩინელთათვის ორი გოლის გამტანმა თურქეთმა ალექსანდრე გიმარაეშის გუნდს არჩევანი არ დაუტოვა. მიუხედავად დიდი ანგარიშით დამარცხებისა, კოსტარიკელებმა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშეს, თავდადების, ბოლომდე ბრძოლის მაგალითიც გვიჩვენეს და სადებიუტო მღელვარება რომ არა, ევებ ჩინეთთან გაცილებით მეტიც გაეტანათ და თავად გასულიყვნენ მერვედფინალში.

თურქები ვახსენეთ და საამმატჩო მათი წუწუნიც გავიხსენოთ, ბრაზილია კოსტა რიკას უწყალობებს, ყველაფერი წინასწარ დაგეგმილიაო, გაჰყვიროდნენ. რისი დამთმობიც იყო ბრაზილია, გუშინდელმა მატჩმაც ცხადყო, სკოლარის ბიჭებმა თურქებს ენაზე საკბენად გაუხადეს საქმე.

ბრაზილიელთაგან განსაკუთრებით რონალდოს თავდაჯერებული თამაშია აღსანიშნავი. ალღოიანი სუპერმეგოლე სათამაშო პიკს უახლოვდება. გუშინ ხომ ორი გოლი არაფრისგან გამოაცხო, პასებიც უხვად არიგა და კოსტარიკელთა დაცვაც გვარიანად დააწიოკა. აღსანიშნავია დაცვაში პრობლემებმოძალებული ედმილსონის შეტევებში ჩინებული ჩართვები და ის ულამაზესი გოლი, ჟუნინიოს ჩაკიდულის შემდეგ გაწოლილ მაკრატელას რომ მოაყოლა. პირველი ტაიმის დიდი დრო რივალდომ ხასიათის გამოსწორებას მოანდომა, მაგრამ მეორე ნახევრის 20 წუთში სრულად აჩვენა ის შესაძლებლობები, ნებისმიერ მცველს მოსვენებას რომ უკარგავს — რივალდო დასწრებაზეც ჩინებულად ირჯებოდა, აკი გოლიც ამ ხერხით გაიტანა რონალდოს ჩინებული პასის შემდეგ, ბევრსაც მოძრაობდა, ჯარიმიდანაც მოხდენილად დაახუჭუჭა და ჩვეული ზუსტი პასებიც უხვად არიგა.

ბოლოს მოულლელი ვანჩოპეც უნდა ვახსენოთ, მედროშესავით რომ უძღოდა წინ თავისიანებს. კოსტარიკელთა ჯილამ არაერთხელ გაიბრწყინა, გოლიც შეაგდო და ჯადო ფინტებითაც თავგზა აუბნია მოწინააღმდეგეს.

ურიგოდ არც რაიტს და გომესს უთამაშიათ, ეფექტური იყო შეცვლაზე შესული როლანდო ფონსეკას დრიბლინგებიც და საერთოდ, კოსტარიკელთა ნაადრევი აბარგება მუნდიალიდან ცოტა ნაღველსაც ტოვებს, მაგრამ ალექსანდრე გიმარაეშის ბიჭებს თავჩასაქინდრი მაინც არაფერი სჭირთ, ვინ იცის, იქნებ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონთანაც დამარცხდნენ გუშინ.

## მატჩის შემდეგ

### ლუიშ ფელიპე სკოლარი
*ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი*

ჯგუფში სამივე მატჩი მოვიგეთ, თუმცა გუნდს პრობლემები საკმაოდ აქვს. ჩვენ მოწინააღმდეგეს თამაშის საშუალებას, ბურთის იოლად მიღების შესაძლებლობას ვაძლევთ. რა თქმა უნდა, ვიცით ჩვენი სუსტი მხარეები და გამოსწორებასაც შევეცდებით.

მერვედფინალამდე ბიჭებს კოსტა რიკის თამაშის პირველ და ბოლო თხუთმეტ წუთს ვაჩვენებ. ეს თამაშის ის მონაკვეთებია, სადაც ჩვენები მაგრად უტევდნენ.

სათქმელია ისიც, რომ წნეხს მხოლოდ ორ შეხვედრაში ვგრძნობდით და ორივეგან ერთი და იგივე რამ დაგვემართა — ვერ მოვახერხეთ თამაშისთვის სწრაფი ტემპის მიცემა და წვრთნის დროს დამუშავებული კომბინაციებიც არ გამოგვივიდა.

ვიცით, რომ ბევრი ფავორიტად მიგვიჩნევს. ჩვენი სიძლიერის გვწამს, მაგრამ ხელალებით ვერაფერს ვიტყვით. ნელ-ნელა მოვუმატებთ და ყველასთან მაქსიმალური ყურადღებით ვითამაშეთ. გუნდები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატს შემორჩნენ, მშვენივრად ბურთაობენ. ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებებთან მოგვიწევს დაპირისპირება და ამისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ.

### ალექსანდრე გიმარაეში
*კოსტა რიკის ნაკრების მწვრთნელი*

დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ და მატჩიც სანახაობრივი და ამაღელვებელი გამოდგა, მაგრამ მაინც დამწუხრებულები ვართ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატს დავტოვებთ.

კოსტა რიკის ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე საკმაოდ კარგი ფეხბურთი აჩვენა. მე მგონი, მერვედფინალსაც იმსახურებდა, თუმცა კანონი კანონია და საწყენია, რომ შინ ნირწამხდრებს გვიწევს დაბრუნება.

## სტენოგრამა

**მე-9 წუთი:** მაურისიო რაიტის 7 მეტრიდან დარტყმული თავური კარს ასცდა.

**მე-10 წუთი:** ედილსონის განივ პასს რონალდო გამოეხმაურა, თითქოს მცველებსაც დაასწრო, თუმც ბურთი ლუის მარინმა ჩაჭრა საკუთარ კარში.

**მე-13 წუთი:** კოსტარიკელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით რონალდომ ისარგებლა და დაბალი დარტყმით დალაშქრა მეტოქის კარი.

**მე-14 წუთი:** ვალტერ სენტენომ საჯარიმოს მისადგომებიდან არაზუსტად დაჰკრა.

**25-ე წუთი:** ჟუნინიოს მეკარემ აუღო.

**29-ე წუთი:** მაურისიო რაიტის ძლიერი დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**32-ე წუთი:** რონალდ გომესის თავური ოდნავ ასცდა კარს.

**33-ე წუთი:** ჟილბერტო სილვამ სამი მეტრიდან ააცილა.

**38-ე წუთი:** ჟუნიორის საჯარიმოში ჩაწოდებული მცველისგან ედმილსონს მიუვიდა, რომელმაც ვარდნაში ულამაზესი გოლი გაიტანა.

**მე-40 წუთი:** მაურისიო რაიტმა პაულო ვანჩოპეს იდეალური პასი მისცა და კოსტარიკელებმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს.

**42-ე წუთი:** კარლოს კასტროს შორეული დარტყმა კარს ასცდა.

**45-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა რონალდომ რივალდოს დაუგორა, რომელმაც თითქმის ცარიელ კარს ააცილა.

**45-ე წუთი:** რივალდოს საჯარიმო დარტყმიდან ბურთი ჟუნიორს მიუვიდა, რომელმაც სანტიმეტრებში ააცილა მეტოქის კარს.

**48-ე წუთი:** რონალდო მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმც მცველმა იყოჩაღა და ბურთი აართვა.

**50-ე წუთი:** პაულო ვანჩოპემ გრძელი დრიბლინგი მეკარის მოტყუებით და კარში დარტყმით დაასრულა. ბურთი კარის ხაზიდან მცველმა გამოიტანა.

**52-ე წუთი:** კარლოს კასტროს დარტყმული მარკოსმა კუთხურზე მოიგერია.

**56-ე წუთი:** ვალტერ სენტენომ რონალდ გომესს ჩაუწოდა, რომელმაც ნახტომში თავით გაუტანა ბრაზილიელებს.

**62-ე წუთი:** რივალდოს უზუსტესი დარტყმა მარჯვენა დაბალ კუთხეში მოთავსდა.

**64-ე წუთი:** მეკარესთან პირისპირ გასულმა ჟუნიორმა მეკარეს ახლო კუთხეში გაუტანა.

**69-ე წუთი:** კარლოს კასტროს მეკარემ აუღო.

**71-ე წუთი:** საჯარიმოში ჩაწოდებული მცველმა კინალამ საკუთარ კარში ჩაჭრა — ბურთი ძელს მოხვდა.

**77-ე წუთი:** როლანდო ფონსეკამ ხუთი მეტრიდან ოდნავ ააცილა.

**84-ე წუთი:** რონალდომ მეკარე ჩამოიშორა და მახვილი კუთხიდან ძელს გაარტყა.

**87-ე წუთი:** პაულო ვანჩოპემ ხარიხას გაარტყა.

**90-ე წუთი:** პაულო ვანჩოპეს მახვილი კუთხიდან დარტყმული მეკარემ გააუვნებლა.




რონალდ გომესის საგოლე თავურს ბრაზილიელებმა ხელი ვერ შეუშალეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## C ჯგუფი. III ტური

# №42 თურქეთი 3:0 ჩინეთი

13 ივნისი. სეული (კორეა). 11.30 „სეულ უორლდ კაფ სთადიუმ". 43 605 მაყურებელი

1:0 ჰასან შაში (6), 2:0 ბიულენთი (9), 3:0 დავალა უმითი (85)

მწვრთნელი შენოლ გიუნეში

1 რუშთუ

3 ბიულენთი, 2 ემრე ასიქი

4 ფათიჰი, 20 ჰ. უნსალი

8 თუგაი, 21 ემრე ბელოზოღლუ

22 დავალა უმითი, 11 ჰასან შაში

10 ბაშთურქი

9 ჰ. შუქური

10 ჰაიდონგი, 20 ჩენ-იანგი

8 ტიე

15 იუნჟუ, 18 ხაოჰენგი

3 ჰუ

4 ჩენგიანგი, 17 ვეი, 14 ვეიფენგი, 21 იუნლონგი

22 ჯინი

მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი

შეცვლა: რუშთუ – 12. ომერი (35), ჩენგიანგი – 6. ჟიაი (46), ბაშთურქი – 17. ილჰანი (70), ჰაიდონგი – 16. ბო (73), ჩენ-იანგი – 11. გენვეი (73), თუგაი – 14. ტაიფური (84)

გაფრთხილება: ემრე ასიქი (20), ემრე ბელოზოღლუ (30), ჰუ (45), ვეიფენგი (62), ჰასან შაში (82)

გაძევება: ჟიაი (59)

მსაჯები: ოსკარ რუისი (კოლუმბია); ალი ტომუსანგე (უგანდა), კერტის ჩარლზი (ანტიგუა და ბარბუდა)

| | | |
|---|---|---|
| 22 | ჯარიმა | 19 |
| 8 | კუთხური | 5 |
| 16 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 8 | კარში დარტყმა | 4 |
| 8 | თამაშგარე | 3 |


REUTERS

ჰასან უნსალი მერვედფინალში შეფრინდა


REUTERS

პირველ გოლს ჰაქან შუქურმა (№9) ბიდეში მიუსწრო

# ჩინეთმა შაშს დუშაში დაუსვა
## სხვამ იკითხოს, ბორას რა ენაღვლება

**გიორგი დარჯანია**

თუ ბრაზილია — კოსტა რიკის მატჩის ყურებას ეს თამაში ამჯობინეთ, დიდად შემცდარხართ და თუ პირიქით მოიქეცით, გარწმუნებთ, არაფერი დაგიკარგავთ.

ტურისწინა სატურნირო ვითარება მოგეხსენებათ: ჩინეთი უკვე ჩარჩენილი იყო ჯგუფში, თურქებს კი მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს და ისიც რამდენიმე პირობის გათვალისწინებით — ერთი, რომ მეორე მატჩში კოსტა რიკა აუცილებლად უნდა დამარცხებულიყო, თან რაც შეიძლება მეტი გოლი უნდა გაეტანათ, რომ თანაბარქულიანი კოსტარიკელებისთვის ბურთების უკეთესი სხვაობით გადაესწროთ. აქვე შეგვიძლია, დავძინოთ, რომ ჩინელებს რაღაც მოტივაცია მაინც გაჩნდათ — მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოხვედრილ გუნდს წინა ორ მატჩში, ქულას ვინ ჩივის, ერთი კინკილა გოლიც ვერ გაეტანა და თუკი თურქებთან ვინმე ამას მოახერხებდა, ჩინური ფეხბურთის ისტორიაშიც ჩაეწერებოდა.

ორიოდე სიტყვით მწვრთნელებიც ვახსენოთ. თურქთა დამრიგებელ შენოლ გიუნეშს სანერვიულოდ რომ ჰქონდა საქმე, თქმაც არ უნდა, მის სახეზე ღიმილის მსგავსი რამ მაშინაც არ გამკრთალა, თურქებს ჯგუფიდან გასვლა ფაქტობრივად განაღდებული რომ ჰქონდათ და მატჩის დასრულებასღა ელოდნენ. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში კოსტარიკელებთან ფრის შემდეგ გიუნეშს სრულიად თურქეთის რისხვა დაატყდა თავს და ჩემპიონატის დასრულებისთანავე მისი მუსტაფა დენიზლით შეცვლაზეც ალაპარაკდნენ.

ბორა მილუტინოვიჩი კი შეხვედრის დაწყებამდე გადასარევ ხასიათზე ბრძანდებოდა და კაცმა რომ თქვას, სანერვიულოც არაფერი ჰქონდა — ნაკრები მუნდიალზე გაიყვანა, ჩინეთში ფეხბურთის არნახულ პოპულარიზაციას სათავე დაუდო, მერვედფინალში გასვლაზე კი ნურას უკაცრავად — მისთვის ესეც რომ მოეთხოვათ, უკვე უნამუსობა იქნებოდა.

მეცხრე წუთისთვის თურქები უკვე 2:0 იგებდნენ და ორივე გოლი მცველთა შეცდომებს მოჰყვა. მეორე გოლისას დაშვებული შეცდომა ჩვეულებრივი იყო, საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთისთვის ბიულენთმა მეურვეებს საჰაერო დუელი მოუგო, აი, პირველი გოლისას ჩინელებმა საშინლად მიქარეს, საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ორმა მცველმა ერთმანეთში ვერ გაარკვია, ბურთი რომელს მოეხელთებინა და ჰასან შაშმა პრობლემა მარტივად გადაჭრა, ბურთი აწაპნა და მეკარესთან პირისპირ გასულმა გაიტანა.

თურქებს ორბურთიანი უპირატესობით განცდილი სიხარული არ განელებოდათ, როცა სუვონიდან ცნობა მოვიდა, ბრაზილიამ კოსტა რიკას ზედიზედ ორი გოლი გაუტანა. მოვლენათა ამგვარად განვითარების შედეგად, თურქთა ჯგუფიდან გასვლის შანსი ერთიორად გაიზარდა: ახალ რეალობაში ან კოსტა რიკას აღარ უნდა გაეტანა ან თავად თურქებს არ უნდა გაეშვათ.

ჩინელი თავდამსხმელების უსუსურობის გათვალისწინებით, თითქოს იოლი ამოცანა იყო, მაგრამ ერთიცაა — უპეებშელებილი მეკარე რუშთუ აჭრილი იყო და ორ არცთუ სახიფათო ეპიზოდში არასწორი გამოსვლით გუნდი კინაღამ დაალალატა. ვინ იცის, კიდევ რას ჩაიდენდა მეკარე, მაგრამ ბედად დაშავდა და თუმც ცოტა ხანს თამაშის გაგრძელება სცადა, თორმეტიოდ წუთში შესაცვლელი შეიქნა.

საზოგადოდ კი ჩინელთა მომენტები აღწერად არ ღირს. ფაქტობრივად, ერთადერთი სახიფათო იერიში განახორციელეს, რომლის დროსაც აინტრახტელმა ჩენ იანგმა ძელს გაარტყა, ეს იყო და ეს. ან კი რას მოელოდით გუნდისგან, რომლის შემადგენლობაშიც ერთადერთი ევროპულ კლუბში მოთამაშე ფეხბურთელი, ნახსენები ჩენ იანგი თამაშობდა? და „აინტრახტიც" რა გუნდია, მოგეხსენებათ. ჰო, 59-ე წუთზე ჩინელები კაცნაკლულნიც დარჩნენ, ემრე ბელოზოღლუსთან უხეშობისთვის არბიტრმა შაო ჟიაი გააძევა. სხვათა შორის, ეს ფეხბურთელი მოედანზე სულ ცამეტი წუთის შესული იყო.

ამასობაში ბრაზილიამ კოსტა რიკას მეხუთე გოლი გაუტანა და თურქეთის ჯგუფში ჩარჩენის ალბათობაც, ნულს მიუახლოვდა.

რაღაა მოსაყოლი... ალბათ, ის, რომ ემრე ასიქმა, ილჰან მანსიზმა და ჰაქან შუქურმა ორი-სამი მეტრიდან რიგრიგობით ააცილეს. მატჩისწინა ანონსში ვწერდით, შუქურმა დაიჩივლა, პასს ვერ მაძლევენ და როგორ გავიტანოო. აჰა, ბატონო, მისცა შაშმა პასი, გაიტანა?

უხერხული პოზიციიდან კი ურტყამდა, მაგრამ პოზიცია სწორად რატომ ვერ შეარჩია, საკითხავია.

თურქთა მესამე გოლი კი დავალა უმითმა შეაგდო. დაახლოებით ისეთივე კომბინაციას მოჰყვა, ესპანელმა ვალერონმა პირველ ტურში სლოვენიელებს რომ გაუტანა. ცენტრიდან მარცხენა ფლანგზე შაშს გრძელი პასი მისცეს, ამან განივი გაუჭრა უმითს, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა და კარში შეგორდა.

ამრიგად, თურქეთი მერვედფინალშია, ჩინეთმა კი საფრანგეთისა და საუდეთის მსგავსად უგოლოდ დაასრულა ჩემპიონატი.

## მატჩის შემდეგ

**შენოლ გიუნეში**
*თურქეთის ნაკრების მწვრთნელი*

უზომოდ ბედნიერები ვართ. თურქ ხალხს დანაპირები შევუსრულეთ, ჯგუფიდან გავედით. ჩინეთთან დამსახურებულად ვიმარჯვეთ. სადავეები დასაწყისიდანვე ხელთ ვიგდეთ, ბევრი მომენტი შევქმენით, გოლები გავიტანეთ, თუმცა ბევრიც გავაცუდეთ.

პრინციპში სულ ერთია, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე მერვედფინალში — იაპონია, რუსეთი თუ ბელგია, თუმც მასპინძლებთან თამაშს ისევ რუსეთსა და ბელგიას ვამჯობინებ.

მთავარია, რომ მერვედფინალში ვართ და გარწმუნებთ, ჯგუფური ეტაპისგან განსხვავებულ, გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთს ვითამაშებთ.

**ბორა მილუტინოვიჩი**
*ჩინეთის ნაკრების მწვრთნელი*

ჩემი აზრით, საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ. ჩინეთის ნაკრები ძალიან ახალგაზრდულია და მას დიდი მომავალი აქვს.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გადადგმული პირველი ნაბიჯი არცთუ ურიგო გამოდგა. ჩინეთმა პირველს მეორეც უნდა მიაყოლოს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინელ ფეხბურთელებთან მუშაობა საინტერესო იყო, მათი ნაკრების მწვრთნელობას აღარ ვაპირებ. ახლა დასვენება მჭირდება, რის შემდეგაც სამომავლო გეგმებზე ვიფიქრებ.

## სტენოგრამა

**მე-6 წუთი:** ჰასან შაშმა მცველის შეცდომით ისარგებლა, საჯარიმოში შეიჭრა და უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა.

**მე-9 წუთი:** საჯარიმოში ჩაწოდებულს ბიულენთ ქორქმაზის შედეგიანი თავური მოჰყვა.

**მე-11 წუთი:** ჰაო ჰაიდონგმა მცველი მოატყუა და კარში დაარტყა. მეკარემ იმარჯვა.

**მე-13 წუთი:** კუთხურიდან ვუ ჩენგიანგის პირდაპირ კარში ჩახვეულს რუშთუ გაუმკლავდა.

**მე-18 წუთი:** ლი ვეიფენგმა არაზუსტად დაარტყა.

**23-ე წუთი:** ლი ხაოჰენგის ჩაწოდებულს ლი ვეიფენგმა თავური დაჰკრა. ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

**28-ე წუთი:** ჩენ იანგის დარტყმული ძელს მოხვდა.

**39-ე წუთი:** ლუ ვეის ახლოდან დარტყმულს მცველი გადაეფარა.

**41-ე წუთი:** ილდირაი ბაშთურქმა კარს გადააცილა.

**50-ე წუთი:** ჰასან შაშის დარტყმული მეკარემ გააუვნებლა.

**53-ე წუთი:** ემრე ბელოზოღლუს თავური ჯიან ჯინიმ აიღო.

**56-ე წუთი:** ჰასან შაშმა საჯარიმოში ჩააწოდა, დავალა უმითის ვარდნაში დარტყმული მცველს მოხვდა.

**მე-60 წუთი:** დავალა უმითის თავურს მეკარე გაუმკლავდა.

**71-ე წუთი:** ჰაქან შუქურს კვლავ მეკარემ არ გაატანინა.

**76-ე წუთი:** კუ ბოს დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**78-ე წუთი:** ემრე ბელოზოღლუმ ხუთი მეტრიდან სასწაულებრივ ვერ გაიტანა.

**85-ე წუთი:** დავალა უმითმა ჰასან შაშის კარგი პასით იხეირა — 3:0.

**88-ე წუთი:** ემრე ბელოზოღლუმ კუთხურიდან ჩაწოდებული ცარიელ კარს ააცილა.

**90-ე წუთი:** ჰასან შაშის პასით ჰაკან შუქურმა ვერ ისარგებლა.

## საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





ხარედ ბორგეტის საოცარმა თავურმა ჯანლუიჯი ბუფონი და იტალია შოკში ჩააგდო

# მაკარონი წიწაკის სოუსით

**პაატა კვანტალიანი**

**ესპანეთის** 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ არ გაგახსენდათ? თუმცა რაღა შორს მივდივართ, 94-ში ოკეანის გაღმაც იგივე არ მოხდა, წვალებით, იღბლის წყალობით რომ დააღწიეს თავი იტალიელებმა ჯგუფურ ლაბირინთებს. აფერუმ მექსიკელებს, რა დღეში ჩაყარეს გუშინ ტრაპატონის ტალიკ-ტალიკი ბიჭები. „ფორცა ეკვადორ“, იტალიის გასასროლი რომ გაისროლე გუშინ და კუდი არ ამოაძუებინე „სკუადრა ადურას“.

ჩინებული იყო გუშინ მექსიკა, „წიწაკებმა“ დახვეწილი ფეხბურთი ითამაშეს, ტაქტიკურად უმოწყალოდ მოგუდეს მეტოქე მწყობრი პასებით და დამუშავებული კომბინაციებით პირი დაალებინეს თვით მრავალ გამარჯვების გამომჭედელ ჯოვანი ტრაპატონის. კარგ მწვრთნელთან ერთად ჩინებული ფსიქოლოგიც ყოფილა ხავიერ აგირე, ხუმრობა ხომ არ არის, მთელი გუნდი სათანადოდ განაწყო ისეთ მონსტრთან სათამაშოდ, იტალიის ნაკრები რომ არის. წესით (ჯგუფში შექმნილი ვითარების შესაბამისად) „სკუადრა ადურა“ გუშინ დაჭრილ მხეცს უნდა დამგვანებოდა მექსიკელებთან მატჩში, მაგრამ ცხარე წიწაკა ნაჭამს უფრო ჰგავდა და ალმადალმა უთავბოლო სირბილით ცდილობდა სარგებლის ნახვას.

საეჭვო თამაშგარეთი ინძაგის არჩათვლილი გოლით ნუ მოვწმენდთ ნამუსს იტელიელებს, მთლიანობაში ტრაპატონის გუნდი უგემოვნო ფასადიან ძველისძველ კომუნალურ ბინას ჰგავდა, მექსიკა კი ხუთვარსკვლავიან სასტუმროთა მეპატრონესავით დააბიჯებდა მოედანზე

და მაინც, უჩვეულო იყო მატჩის ამგვარი სცენარი, იტალიამ უარი თქვა სადებიუტო შტურმზე მოგვიანებით ნახევარდაცვაზე. ვიერი კი ჯიუტად „ზურგით“ ცდილობდა მეტოქის კარისკენ შეტევას. უფვქტო, მეტიც უფრო ხშირად უმოქმედო გახლდათ ტოტი, ჩახვეულ ნალოლიავებ თმიან რომაელს ერთიორი პასის გარდა სახეირო არაფერი გაუკეთებია. უფრო უჩვეულო კი ის გახლდათ, რომ საშინლად ნერვიულობდნენ აპენინელები — რაც ტოტის და ინძაგის „ცხრასართულიანი“ კუთხურების შესრულებისასაც დადასტურდა.

გააზრებული ტაქტიკური სქემის გარდა, მექსიკელებმა „სითავხედეც“ გაიყოლეს მოედანზე. ბლანკოს „კვატემოკურს“ რომ თავი დავანებოთ, მექსიკა ისე ირჯებოდა, თითქოს კონკაკაფის ჯგუფის რიგით მატჩს ატარებდა. შეუდარებელი იყო არელანო, დახვეწილი, ლაღი მოძრაობებით რომ აიკლო იტალიელთა მარცხენა ფრთა. ისიც გავიხსენოთ, ამ გრძელთმიანმა ბიჭმა რა სხარტი კედელი გაითამაშა ბლანკოსთან მას შემდეგ, რაც ორი სანაქებო მცველი ბავშვივით გააცურა საჯარიმოში შემავალმა... და ბლანკო, განა ჩინებული არ იყო მისი ჩახურული პასი, მალდინადევნებულ ბორგეტის რომ შეაყოლა საჯარიმოში და ამანაც თავით ჩემპიონატის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა გაშეშებული ბუფონის კარში.

იმ წუთისთვის ეკვადორს საიტალიო არ ჰქონდა გატანილი, მაგრამ ამანაც ვერ შეუნთო ცეცხლი აპენინელებს, ის კი არა, თითოჯერ როდრიგესს და ბლანკოს ზუსტად რომ დაექუხებინათ, იქნებ ველარც ეკვადორს ეწვალა იტალიელთათვის.

მეორე ტაიმში მონტელას გამოჩენამ აპენინელები გამოაცოცხლა, რასაც გზადაბნეული ვიერის მეკარესთან პირისპირ გასვლა და თავად მონტელას არჩათვლილი გოლი მოჰყვა (ამ ეპიზოდში თამაშგარე მდგომარეობა აშკარა იყო). მერე კი ეკვადორელთა გოლის ამბავმა მექსიკაც მოადუნა, იქეთ ხორვატიას ორი გოლი ჰქონდა გასატანი, აქეთ კი იგივეს გამკეთებელი იტალიელები არ ჩანდნენ. „წიწაკებსაც“ ფაქტობრივად ჯიბეში ედოთ მერვედფინალის საგზური და ტემპი დააგდეს ხავიერ აგირეს ბიჭებმა, მერე კი დელ პიეროც გამოჩნდა და მონტელას ჩახვეული პასის შემდეგ ის ასიათასობით შეშლილი სახე დააწყნარა, თვალს რომ ადევნებდა იტალიელთა ულიმღამო თამაშს.

ოიტას მატჩამდე ეკვადორი — ხორვატია ოთხი წუთით ადრე დასრულდა, მექსიკელებმაც თავისსავე ნახევარზე ხელშეუშლელი გორებით ბურთის ფლობის სოლიდური პროცენტული მაჩვენებელი გამოიმუშავეს, მერე კი ნერვიული ჟესტიკულაციით დაასრულა ბრაზილიელმა კარლოს სიმონმა მატჩი და მადლიანად გადაიწერა პირჯვარი. ღმერთს მადლობა იტალიელებმაც უნდა უძღვნან, ნაადრევად რომ არ გაემგზავრნენ შინ.

ჯგუფში ჯახირის მიუხედავად, მაინც არ ღირს იტალიელთა ჩამოწერა, წერილის თავში ნახსენებ ორი მსოფლიოს ჩემპიონატის მოგონებას ისიც შემორჩენია, რომ ესპანეთში ტრიუმფით დაასრულეს მუნდიალი იტალიელებმა, ამერიკაში კი მხოლოდ ბრაზილიასთან დათმეს ჩემპიონობა პენალტების სერიაში.

## მატჩის შემდეგ

### ჯოვანი ტრაპატონი

*იტალიის ნაკრების მწვრთნელი*

ხშირად მითქვამს, ღმერთი სამართლიანია. მჯერა მისი და მწამს, რომ თუ გუნდი ხუთ-ექვს ასპროცენტიან საგოლე მომენტს ქმნის, იგი არ იმსახურებს წაგებას. ასე მოხდა დღესაც. მექსიკელები ღირსეულად იბრძოდნენ, მათი ყოველი მოძრაობა გონივრული იყო, მაგრამ ვფიქრობ, ფრე სამართლიანი შედეგია... კიდევ ერთხელ გაღმოგვხედა უფალმა.

### კვატემოკ ბლანკო

იტალიელები ჩვენს ხელთ იყვნენ. მათ იღბალი ჰქონიათ, რომ დაგვიძვრნენ. ამ შეხვედრაში გამარჯვებას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვიმსახურებდით, ახლა წინ მერვედფინალია, ვალდებულნი ვართ, ეს ბარიერი დავძლიოთ და მექსიკელ ხალხს კიდევ ერთი საჩუქარი ვუძღვნათ.

## სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** ფრანჩესკო ტოტიმ საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი ალესანდრო ნესტას მიუვიდა, რომლის დარტყმულიც ზემოდან გადასცდა კარს.

**მე-8 წუთი:** ფილიპო ინძაგის მიერ 25 მეტრიდან დარტყმული მეკარისთვის იოლი ლუკმა გამოდგა.

**მე-13 წუთი:** ფრანჩესკო ტოტიმ ფილიპო ინძაგი მეკარეს პირისპირ შეატოვა. „პიპოს“ გოლის გატანა არ გასჭირვებია, თუმცა... თანამსაჯმა ოფსაიდის ნიშნად ალამი აღმართა.

**მე-14 წუთი:** ხარედ ბორგეტის ჯანლუიჯი ბუფონმა აუღო.

**მე-16 წუთი:** ფრანჩესკო ტოტიმ კრისტიან ვიერის დაუგორა, რომლის გასროლილიც ოდნავ ასცდა კარს.

**მე-17 წუთი:** ხერარდო ტორადოს დარტყმა უხეირო გამოდგა.

**მე-19 წუთი:** ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილმა ფრანჩესკო ტოტიმ რეალური შანსი გაანიავა — ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

**22-ე წუთი:** ფრანჩესკო ტოტიმ თავით კრისტიან ვიერის უპასა, რომელსაც მეკარემ აუღო.

**24-ე წუთი:** ფრანჩესკო ტოტის საჯარიმო დარტყმა მცირეთი ასცდა მექსიკელთა კარს.

**33-ე წუთი:** ტოტი-ვიერი-ინძაგის კარგი კომბინაცია ხეირიანი დარტყმით ვერ დასრულდა.

**34-ე წუთი:** კვატემოკ ბლანკოს ჩაწოდებულს ხარედ ბორგეტიმ ბრწყინვალე თავური მიაყოლა. ბურთი იტალიელთა კარის შორეულ კუთხეში უცნაური ტრაექტორიით ჩაეშვა.

**მე-40 წუთი:** კრისტიან ვიერიმ ჯანლუკა ძამბროტას დაუგორა, რომელიც უხერხული პოზიციიდან ურტყამდა და ააცილა.

**42-ე წუთი:** სალვადორ კარმონამ ოდნავ ააცილა.

**45-ე წუთი:** ჯანლუკა ძამბროტას გასროლილმა მიზანს ვერ უწია.

**49-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილ ფილიპო ინძაგის ბურთი მცველებმა აცალეს.

**50-ე წუთი:** ფრანჩესკო ტოტიმ ფილიპო ინძაგი მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ „პიპომ“ ოსკარ პერესის მოტყუება ვერ შეძლო.

**54-ე წუთი:** მარცხენა ფლანგზე ხესუს არელანომ გაინავარდა, კრისტიან პანუჩი ჩამოიცილა და საჯარიმოში შესულმა კვატემოკ ბლანკოსთან „კედელი“ გაითამაშა, თუმც მისი დარტყმული ცარიელი კარიდან ფაბიო კანავარომ გამოიტანა.

**57-ე წუთი:** რამონ მორალესის სახიფათო დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

**61-ე წუთი:** როდრიგესის გასროლილმა ძელს ჩაუქროლა.

**64-ე წუთი:** ფრანჩესკო ტოტის იდეალური პასით ვინჩენცო მონტელა მეკარესთან პირისპირ გავიდა, ბურთიც გადაუგდო თავზე, თუმც მსაჯმა სამართლიანად დააფიქსირა თამაშგარე.

**65-ე წუთი:** კვატემოკ ბლანკომ არაზუსტად დაარტყა.

**72-ე წუთი:** ფრანჩესკო ტოტის პასს კრისტიან ვიერი შეჰყვა, მაგრამ მეკარესთან მარტო დარჩენილს ფეხი „აუკანკალდა“ და დარტყმა ვერ მოახერხა.

**83-ე წუთი:** შვიდი მეტრიდან ვინჩენცო მონტელას უძლიერესი დარტყმა საკმაოდ არაზუსტი გამოდგა.

**85-ე წუთი:** ვინჩენცო მონტელას ჩაწოდებულს ალესანდრო დელ პიერომ საგოლე თავური მიაყოლა — 1:1

## კორეა-იაპონია 2002
## G ჯგუფი. III ტური

# №43 მექსიკა 1:1 იტალია

13 ივნისი. ოიტა (იაპონია). 16.30 „ოიტა სთადიუმ ბიგ აი“. 39 291 მაყურებელი

1:0 ბორგეტი (34), 1:1 დელ პიერო (85)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

1 პერესი

4 მარკესი

5 ვიდრიო — 16 კარმონა

6 ტორადო

21 არელანო — 7 რამონ მორალესი

18 ჰ. როდრიგესი — 11 ლუნა

10 ბლანკო — 9 ბორგეტი

9 ინძაგი — 21 ვიერი

10 ტოტი

2 პანუჩი — 19 ძამბროტა

6 კ. ძანეტი — 17 ტომაზი

3 მალდინი — 13 ნესტა — 5 კანავარო

1 ბუფონი

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

შეცვლა: ინძაგი – 20. მონტელა (56), პანუჩი – 4. კოკო (63), მორალესი – 3. რ. გარსია (76), როდრიგესი – 19. კაბალიერო (76), ტოტი – 7. დელ პიერო (78), ბორგეტი – 17. პალენსია (80)

გაფრთხილება: არელანო (2), კანავარო (5), პანუჩი (9), ტოტი (43), ძამბროტა (55), მონტელა (57), პერესი (84)

მსაჯები: კარლოს სიმონი (ბრაზილია); ჟორჟე ოლივეირა (ბრაზილია), მატ ლაზიმ ავანგ შამატი (მალაიზია)

| | | |
|---|---|---|
| 18 | კარიმა | 16 |
| 1 | კუთხური | 8 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 13 |
| 2 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## G ჯგუფი. III ტური

# №44 ეკვადორი 1:0 ხორვატია

13 ივნისი. იოკაჰამა (იაპონია). 16.30. „ინტერნაციონალ სტადიუმ იოკოჰამა". 65 862 მაყურებელი

ე. მენდესი (48)

**ეკვადორი** (მწვრთნელი ერნან დარიო გომესი)

1 სევალიოსი

4 დე ლა კრუზი, 3 ურტადო, 2 პოროსო, 6 გევერონი

16 ჯ. კალა, 5 ობრეგონი

19 ე. მენდესი, 15 მ. აიოვი

18 კ. ტენორიო, 11 დელგადო

**ხორვატია** (მწვრთნელი მირკო იოზიჩი)

11 ბოკშიჩი

5 რაპაიჩი, 18 ოლიჩი

17 იარნი, 10 ნ. კოვაჩი, 4 ტომაში

3 სიმუნიჩი, 20 შიმიჩი, 21 რ. კოვაჩი, 15 სარიჩი

1 პლეტიკოშა

შეცვლა: ობრეგონი – 10. აგინაგა (40), სარიჩი – 13. სტანიჩი (46), შიმიჩი – 7. ვუგრინეცი (52), ნ. კოვაჩი – 16. ვრანიეში (59), ტენორიო – 9. კავიედესი (76)

გაფრთხილება: ტომაში (72), კალა (86), სიმუნიჩი (90)

მსაჯები: უილიამ მატუსი (კოსტა რიკა); მიგელ ჯაკომუცი (პარაგვაი), როლან ვან ნილენი (ბელგია)

| | | |
|---|---|---|
| 21 | ჯარიმა | 18 |
| 4 | კუთხური | 8 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 2 | თამაშგარე | 3 |





ხორვატთა მწვრთნელ მირკო იოზიჩს და კაპიტან რობერტ იარნის სამშობლოში თავი აღარ გამოეყოფათ

# ლურჯი მელა

ვაჟა ხუციშვილი

**ოქროს პატრონი** შინ წავიდა. მას ბრინჯაოს მფლობელიც უკან მიჰყვა. დაბერებულან ერთიც და მეორეც. მეორემ ანუ ხორვატიამ ფრანგებზე მოგვიანებით, მაგრამ მაინც გაიხურა სასტუმროს კარი.

ჯერ იყო და პირველივე მატჩში მექსიკასთან წაიმტვრიეს ცხვირ-პირი ხორვატებმა. მერე იტალიასთან გამოცოცხლდნენ და მსოფლიო ისევ აალაპარაკეს — ტყუილად ჩამოგვწერეთო. სამშობლოში, ხორვატიაშიც ირწმუნეს გუნდისა. მირკო იოზიჩი ლამის მოროსლავ ბლაჟევიჩს გაუტოლეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იტალიის დამარცხება მაქსიმუმი ყოფილა.

„სკუადრა ატურასთან" ხორვატებმა ლაღად ითამაშეს, რადგან, მეტოქისგან განსხვავებით, ტვირთად არაფერი აწვებოდათ. ტრაპატონის გუნდმა კი, რომელსაც გატანილი გოლის შემდეგ თავი მერვედფინალში ეგონა, ნერვიულობა დაიწყო და გატყდა.

ეკვადორთან გუშინდელ შეხვედრაში ხორვატებიც მსგავს ვითარებაში აღმოჩნდნენ. მათ გადამწყვეტი მატჩი უნდა მოეგოთ ჩემპიონატის დებიუტანტებთან, მაგრამ ვერ შეძლეს. მატჩამდე მირკო იოზიჩმა თქვა, თუ მოგება გვსურს იტალია უნდა გავიმეოროთო. იტალიის გამეორება ძნელი გამოდგა, ისევე როგორც იტალიამ ეკვადორი ვერ გაიმეორა ხორვატებთან. თითქოს ყველაფერი ადვილია — გაუტანო ორი გოლი გუნდს, რომელმაც ოთხი უკვე გაუშვა ორ თამაშში.

ახლა მივადევგით დებიუტანტს. სამხრეთამერიკელებისგან მსოფლიოს ჩემპიონობას არც მწვრთნელი ითხოვდა და არც სრულიად ეკვადორი. ისინი, თუ შეიძლება ითქვას, თავისუფალი მსმენელები იყვნენ. ამიტომაც ითამაშეს ძალდატანების გარეშე. ალექს აგინაგამ შეხვედრის დაწყებამდე ბრძანა, ჩვენ დავამტკიცებთ, ბურთის გაგორება რომ შეგვიძლიაო. რას ვერჩით ამ ხალხს, სამშობლოს პირველი, ისტორიული გამარჯვება უძღვნეს. თან სათქმელად ექნებათ, მოქმედი მესამეადგილოსანი ვიმსხვერპლეთო.

ეკვადორელთა კოლუმბიელი მწვრთნელი ერნან დარიო გომესი მშვიდად იდგა ერთ ადგილზე და კევს ღეჭავდა. ეტყობა, თავს კარგად აკონტროლებს. ედისონ მენდესმა გოლი რომ გაიტანა, არც განძრეულა.

ამ გოლმა და ხორვატთა შემდგომმა ფაფხურმა ევროპელებს ნიღაბი ჩამოხსნა. აი, ისე, ლურჯი მელასავით, ტაშფანდური მალე რომ ჩაუმწარეს, მერე კი გარბოდა და გაჰყვიროდა, დამაცალეთ, კიდევ ვიშოვი სალებავსო.

| საბოლოო ცხრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ხორვატია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ეკვადორი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |

## მატჩის შემდეგ

**მირკო იოზიჩი**
*ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი*

ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც შეგვეფერებოდა. მეორე ტაიმში, როცა 0:1 ვაგებდით, ტემპის მომატება გვმართებდა, მაგრამ არასწორად მოვიქეცით. ისე გამოვიდა, თითქოს გამარჯვება არც კი გვინდოდა. ბოლოს კი გავრისკეთ, გადავედით შტურმზე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. თავიდანვე შევცდით. ეკვადორი სუსტი გვეგონა და დავისაჯეთ კიდეც.

**ერნან დარიო გომესი**
*ეკვადორის ნაკრების მწვრთნელი*

სამშობლოში ამაყად ვბრუნდებით. დღეს ჩვენი ისტორიის პირველი ნათელი ფურცელი დაიწერა. მიუხედავად ცუდი დასაწყისისა, ვიბრძოლეთ, ბევრისთვის სანატრელი სამი ქულა მოვიპოვეთ და არაფერზე ვნაღვლობთ. ეკვადორში ახლა დიდი ზეიმია.

ხორვატია რომ ძლიერი გუნდია, იტალიელებსაც დაუმტკიცა. ისინი, ალბათ, არც ელოდნენ ჩვენგან ამდენს. მადლობა ყველა ფეხბურთელს, მათ მუდამ ჩემს წინ ვაყენებ, სიხარულის მომტანები ხომ ისინი არიან.

## სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** ალენ ბოკშიჩი მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმც ბურთი გაექცა.

**მე-16 წუთი:** მილან რაპაიჩი საჯარიმოში შეიჭრა და კარში დაარტყა — არაზუსტად.

**23-ე წუთი:** ალენ ბოკშიჩმა ივიცა ოლიჩი შეატოვა მეკარეს, მაგრამ ბურთი ვერც ამან შეიმაგრა.

**24-ე წუთი:** კლებერ კალას სტიპე პლეტიკოშამ აული.

**25-ე წუთი:** ედისონ მენდესის 25 მეტრიდან დარტყმულს მეკარე გაუმკლავდა.

**30-ე წუთი:** ივიცა ოლიჩის თავური უზუსტო გამოდგა.

**34-ე წუთი:** ალენ ბოკშიჩის დარტყმული ძელს მოხვდა.

**45-ე წუთი:** ალენ ბოკშიჩმა მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ აუგუსტო პოროსომ ივაჟკაცა — ცარიელი კარიდან თავით გამოიტანა ბურთი.

**48-ე წუთი:** აუგუსტინ დელგადომ თავით დაუგდო ედისონ მენდესს, რომლის ძლიერ დარტყმასაც სტიპე პლეტიკოშა ვერ გაუმკლავდა.

**53-ე წუთი:** რობერტ იარნიმ ოღნავ ააცილა კარს.

**მე-60 წუთი:** ედისონ მენდესის დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

**83-ე წუთი:** ალენ ბოკშიჩის ჩაწოდებულს დარიო ვუგრინეცმა შეუჩერებლივ დაჰკრა. ბურთი ზემოდან გადასცდა კარს.

**87-ე წუთი:** მარიო სტანიჩის დარტყმული მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.



ეკვადორელმა კარლოს ტენორიომ ბურთი ფეხზე მიიწება

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. D ჯგუფი. №47**

**პორტუგალია — ს. კორეა**

დღეს. ინჩეონი (კორეა). „ინჩეონ უორლდ ქაფ სთედიუმ". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ვიტორ ბაია, ნუნუ ფრეშაუ, ჟორჟე კოშტა, ფ. კოუტუ, რუი ჟორჟე, ა. პეტი, ბენტუ, კონსეისაუ, ჟოაუ პინტუ, ფიგუ, პაულეტა | ვ. ლი, ჯ. ჩოი, მ. ჰონგი, ტ. კიმი, ჩ. სონგი, ნ. კიმი, იოო, პარკი, ე. ლი, ჰვანგი, სეოლი |
| მწვრთნელი: ანტონიუ ოლივეირა | მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |

**მსაჯი: ანხელ სანჩესი (არგენტინა)**

# ფლამანდიური სიბრძნე: წვრილთვალება ბრმა არ უნდა იყოს
# პორტუგალიური შეკითხვა: აბელ, თეძო აღარ გტკივა?



ლუიშ ფიგუ

თუ კორეამ დღეს წააგო, პირველად მოხდება, რომ მუნდიალის მასპინძელი ქვეყნის ნაკრები მეორე ეტაპზე ვერ გავა.

არადა, გუს ჰიდინკის წვრილთვალებთა გუნდს ფრეც ჰყოფნის მერვედფინალისთვის, მაგრამ მათი მეტოქე ხომ პორტუგალიააა...

„პორტუგალიელებმა ძალები მას შემდეგ მოიკრიბეს, რაც პირველ მატჩში შოკი იგემეს, ამერიკელებთან მათ, ფაქტობრივად, ეძინათ. პორტუგალია ძალიან სახიფათო გუნდია. აშკარაა, რომ ჩვენ იძულებულნი გავხდებით, მათი მძლავრი შეტევები შევაჩეროთ" — მიიჩნევს ჰოლანდიელი ჰიდინკი.

გუსის ნათქვამს იმას დავუმატებთ, რომ პორტუგალია შესარჩევი ციკლის უეფას ზონაში ყველაზე უხვგოლიანი გუნდი გახლდათ — 33 ბურთი 10 მატჩში.

ჰიდინკი იმასაც ამბობს, ჩემმა გუნდმა დაცვითი ფეხბურთი არ უნდა ითამაშოსო: „ჩვენ მზად ვართ, თავი დავიცვათ, თუმც ამავე დროს ინიციატივის აღებასაც შევეცდებით, მაგრამ მხოლოდ კონტროლირებადი და არა ბრმა შეტევებით".



გუს ჰიდინკი კორეელებს მერვედფინალისთვის აგულიანებს

აზიელთა ფლამანდიელ მწვრთნელს ისიც ჰკითხეს, ფიგუს და რუი კოშტას დონის მოთამაშეები რომ არა გყავთ, ფონს როგორღა გახვალთო.

„გასაგებია, მაგრამ ჩვენ გავაუვნებლებთ პორტუგალიელთა ლიდერებს. ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომლებსაც ეს შეუძლიათ".

კორეელთა დაცვის სიძლიერეს დიდად განაპირობებს 33 წლის ვეტერანი ჰონგი, რომელსაც ოთხ მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია, და ეს, ალბათ, ბოლო იქნება მისთვის.

შეტევაში კი მასპინძლებს დიდად ეიმედებათ 26 წლის იუნგ-ჰვანგის, რომელიც წინა შეხვედრაში აშშ-სთან შეცვლაზე შემოვიდა და 78-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა.

„მე მაღალ ტემპს მოვითხოვ და იუნგ-ჰვანგი ამისთვის მზად არის. მას ძალუძს, მაღალ დონეზე 45 წუთი ითამაშოს და თუ აუცილებელია, ცოტა მეტიც" — განაცხადა ჰიდინკმა.

აზიელთა ფეხმალი მარცხენაფლანგელი ლი იონგ-პიოს ზურგის ტრავმისგან თავი დაუღწევია, თუმც მწვრთნელი მას, ალბათ, სათადარიგოდ გაამწესებს.

„ზოგიერთ ფეხბურთელს მცირე ტრავმების გამო მთელი მატჩის თამაში არ შეუძლია. ჰოდა, სათადარიგო სკამზე მხნე ფეხბურთელები მჭირდება მეორე ტაიმში მოედანზე შესაშვებად" — ესეც ჰიდინკის სიტყვაა.

და პორტუგალია, რომელმაც ძალიან უნიათოდ დაიწყო მუნდიალი, მაგრამ პოლონელთა 4:0-ით რბევის წყალობით მერვედფინალში გაღწევის შანსი მიეცა.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლო 16 წლის მანძილზე პორტუგალია პირველად მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ვირთევზათი და ზღვის სხვა ნობათით ნაკვები პირინეის მკვიდრნი დღეს, ალბათ, ისეთივე განლაგება-ტაქტიკით ითამაშებენ, როგორც პოლონეთთან. პორტუგალიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი 1991 წელს უკვე გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ოღონდ 21-წლამდელთა შორის. აი, რას ამბობს ერთ-ერთი მათგანი რუი ჟორჟე: „ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩი იქნება ჩვენს კარიერაში, ჩვენი, როგორც ფეხბურთელების, ცხოვრებაში. ყველას გვეიმედება, რომ მერვედფინალამდე გავალთ. მუნდიალზე თამაშს პორტუგალია წლების განმავლობაში ელოდა და პირველივე ეტაპიდან ხომ არ დავემშვიდობებით ტურნირს?!"

საქმეს ისეთი პირი უჩანს, პორტუგალიელთა მწვრთნელი ანტონიუ ოლივეირა კვლავ არ დააყენებს სასტარტოში რუი კოშტას, ხოლო მარჯვენა მცველი ნუნუ ფრეშაუს თამაში მცირე ტრავმის გამო საეჭვოა. თუ ნუნუს არ გაიყვანენ მინდორზე, მას ექსტრავაგანტული იერის აბელ შავიერი შეცვლის — ლივერპულელმა გაწყვეტილი თეძოს კუნთი ხომ უკვე სრულად მოიშუშა.

**დავით თავართქილაძე**

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. D ჯგუფი. №48**

**პოლონეთი — აშშ**

დღეს. დეჯეონი (კორეა). „დეჯეონ უორლდ ქაფ სთედიუმ". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| დუდეკი, ი. ბაკი, ვალდოხი, ჰაიტო, მიხალ ჟევლაკოვი, კალუჟნი, ა. ბაკი, კრჟინოვეკი, კოზმინსკი, ოლისადებე, კრიშალოვიჩი | ფრიდელი, ჰეიდუკი, მასტროენი, აგოსი, სანე, პოუპი, ჯ. ობრაიენი, სტიუარტი, ბესლი, დონოვანი, მაკბრაიდი |
| მწვრთნელი: ეჟი ენგელი | მწვრთნელი: ბრიუს არენა |

**მსაჯი: იუნ ლუ (ჩინეთი)**

# კორეელებისთვის ყველა ამერიკის წინააღმდეგ



ბრიუს არენა

**ამერიკელებს**, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთობ განსწავლული გუნდი ჩაუყვანიათ, მერვედფინალში გასასვლელად პოლონელებთან ფრეც ჰყოფნით. ცხადია, ძალიან რთული თამაში ელით, მაგრამ გმირობას ხომ უკვე მიეჩვივნენ — ყველასთვის მოულოდნელად პორტუგალიას 3:2 მოუგეს და 60 ათასი ღრიალა ქომაგით ზურგგამაგრებულ კორეასთან ფრე გაახერხეს.

„ვგრძნობ, პოლონელებთან მატჩი წინა ორისგან განსხვავებული იქნება — ამბობს ამერიკელთა მწვრთნელი ბრიუს არენა — სატურნირო ვითარების გათვალისწინებით, კორეელი მაყურებელი, ალბათ, ჩვენს მოწინააღმდეგეს დაუჭერს მხარს, ქომაგობა კი მათ დიდებული იციან. მოკლედ, დიდი ზეწოლის ქვეშ მოვექცევით, მაგრამ რა გაეწყობა, უკან დასახევი გზა არც ჩვენ გვაქვს, ვეცდებით, მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ და პლეი ოფის საგზური მოვიპოვოთ, ამ მიზნისთვის ხომ ერთი ქულაც გვყოფნის."

არენამ ისიც თქვა, უხეირო გამოსვლის მიუხედავად პოლონელებს მაინც ძლიერი გუნდი ჰყავთ და სწორედ დღევანდელი მატჩისთვის შესაძლოა, საუკეთესო ფორმაში იყვნენო. ამერიკელები განსაკუთრებით ფორვარდ ემანუელ ოლისადებეს, შუახაზელ რადოსლავ კალუჟნისა და იაცეკ კრჟინოვეკს უნდა უფრთხილდნენ.

თუმცა კალუჟნიმ პორტუგალიასთან წინა შეხვედრაში ტრავმა მიიღო და დღეს ეგებ, ვერც ითამაშოს. ნახევარმცველი პიოტრ სვიერჩევსკი კი ზედმეტი ყვითლების გამო ვერ გავა მოედანზე.

„ვიცით, რომ დისკვალიფიკაციისა და ტრავმების გამო პოლონელებს რამდენიმე ფეხბურთელის შეცვლა მოუწევთ, თუმცა მათ ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავთ და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ" — ასკვნის არენა.

თავის მხრივ, პოლონელები, რომლებსაც ტურნირის იმედგაცრუებას უწოდებენ (აბა, ხუმრობა ხომ არ არის, კორეასთან 0:2, პორტუგალიასთან 0:4), შეეცდებიან, ბოლო მატჩში მაინც დაამტკიცონ, რომ მუნდიალზე შემთხვევით არ მოხვედრილან.

თავმოყვარეობა თავმოყვარეობად და პოლონელებს საბრძოლველად სხვა სტიმულიც ჰქონიათ. აი, რას ამბობს მეკარე ირეჟი დუდეკი: „კორეელები საოცრად თბილად გვეპყრობიან და ვალდებულნი ვართ, ამ კეთილგანწყობას სიკეთითვე ვუპასუხოთ. მათ მერვედფინალში გასვლა სურთ და ამაში ჩვენც დავეხმარებით. ამერიკელებთან თავს არ დავზოგავთ და ვეცდებით, აზიელი მეგობრებისთვის სასურველ შედეგს მივაღწიოთ".

დუდეკი არც იმას მალავს, რომ ასეთი ცუდი ორი თამაშის მერე მთელი გუნდი გაწბილებულია: საწყენია, გვეგონა ჯგუფში პორტუგალიელების შემდეგ მეორე ადგილს დავიკავებდით.



პიოტრ სვიერჩევსკის (№7) ყვითელი ბარათები დაუგროვდა

თითქოს შანსიც გვქონდა, შესარჩევი ეტაპი ხომ ჩინებულად ჩავატარეთ, მაგრამ რაღა გაეწყობა, ახლა ტურნირის ღირსეულად დასრულება მაინც უნდა მოვახერხოთო.

**სოლომონ გულისაშვილი**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| აშშ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

# ძალიან, ძალიან

## არ გვინდა ბრაზილია, არ გვინდა სხვა

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. H ჯგუფი. №45**

### ტუნისი — იაპონია

დღეს. ოსაკა (იაპონია). „ოსაკა ნაგაი სთადიუმ". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ბუმნიჟელი, ბადრა, ტრაბელსი, ბუზაინი, ჯაიდი, გაბსი, ბუაზიზი, ბენ აშური, გოდბენე, მელკი, ჯაზირი | ნარაზაკი, მაცუდა, მიამოტო, კ. ნაკატა, მიოინი, ინამოტო, ტოდა, ონო, ჰ. ნაკატა, სუზუკი, იანაგისავა |
| მწვრთნელი: ამარ სუაია | მწვრთნელი: ფილიპ ტრუსიე |

**მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)**





იაპონელებს ჰიდეტოში ნაკატასი და იუნიჩი ინამოტოსი ჯიმედებათ

ამ ჯგუფში ისეთი ხლართებია, რომ ბოლოადგილოსან ტუნისსაც აქვს საშერვედფინალო ოცნების უფლება.

ტურნირის თანამასპინძელი იაპონია მეორედ მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატზე. პირველად ოთხი წლის წინ ითამაშა იაპონიამ მუნდიალზე და სამივე მატჩი წააგო. ხოლო ახლა ბელგიასთან გაახერხა ფრე — 2:2 და რუსეთი კი სულაც ბეჭებზე გააკრა 1:0.

ფილიპ ტრუსიეს მიერ ფრანგულად დამოძღვრილ აზიის ჩემპიონს ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ჰყოფნის, მაგრამ გუნდის მცველი ცუნეიასუ მიამოტო მოგების ჟინითაა შეპყრობილი: „არ შეგვიძლია, ჯგუფში ოღონ ერთი გამარჯვებით კმაყოფილები დავრჩეთ. სამი ქულა გვინდა პირველ ადგილზე რომ გასასვლელად. ტუნისი კი ამოუცნობი გუნდია და თავს მოდუნების უფლება არ უნდა მივცეთ".

ტუნისელთა მწვრთნელი ომარ სუაია კი ცოტა არ იყოს, სევდას შეუპყრია: „რეალურად ჩვენ არ გვაქვს კარგი შანსი იაპონიის წინააღმდეგ. მეტოქე შინ თამაშობს თავისი გულშემატკივრების მხარდაჭერით. იაპონელებს, ძალიან, ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ და ჩვენ ძალიან, ძალიან რთულად გვექნება საქმე".

ცხადია, კვლავაც ყურადღების ცენტრში მოგვევლინება იუნიჩი ინამოტო. ლონდონის „არსენალის" ამ ნახევარმცველმა მუნდიალზე ორივე შეხვედრაში გაიტანა თითო გოლი და ფიფამ ორჯერვე დაასახელა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ. ხოლო პარმელი ჰიდეტოში ნაკატა, თქმა არ უნდა, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, მაგრამ ამ დროისთვის მას ინამოტო ჩრდილავს.

თუმცა, მოდით ისევ ფრთხილ მიამოტოს მოვუსმინოთ: „ჩვენგან განსხვავებით ტუნისმა პირველი ორი შეხვედრა შუადღეს ითამაშა. მატჩი ახლაც შუადღეს ჩატარდება და ტუნისელები ამას შეჩვეულნი არიან. თანაც ვიცით, რომ მეტოქე, საჯარიმოს მისადგომებთან ერთობ სახიფათოდ ირჯება. ერთი სიტყვით, რთული მატჩი გველის".

ტუნისელთა ძალას პლეიმეიკერი კაირ გოდბენე და შემტევები, ჰასან გაბსი და ზიად ჯაზირი განაპირობებენ. მათგან გოდბენე მაინც გამორჩეულია. თუ მას ბურთის დიდხანს ფლობის საშუალებას მივცემთ, ცხოვრებას გაგვიმწარებსო, მიაჩნიათ იაპონელებს.

ისე, იაპონია თუ წინ იხედება, ტუნისს აუცილებლად უნდა მოუგოს, რათა მერვედფინალში ბრაზილიასთან თამაშისგან თავი დაიხსნას.

**დავით თავართქილაძე**

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. H ჯგუფი. №46**

### ბელგია — რუსეთი

დღეს. შიზუოკა (იაპონია). „შიზუოკა ეკოპა". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| დე ფლიგერი, დეფლანდრე, დე ბოეკი, ვან ბუიტენი, ვან კერკჰოვენი, ვერჰეინი, სიმონსი, ვანდერეგე, გოორი, ვილმოტსი, სონკი | ნიგმატულინი, კოვტუნი, ონოპკო, ნიკიფოროვი, კარპინი, ტიტოვი, სმერტინი, იზმაილოვი, მოსტოვოი, ბესჩასტნიხი, პიმენოვი |
| მწვრთნელი: რობერ ვასეჟი | მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი |

**მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)**

# შერეული რუსეთი



ვიქტორ ონოპკოს დღეს საიუბილეო მატჩი აქვს

**„ალექსანდრ მოსტოვოი** ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, როგორიც ფრანგებისთვის ზინედინ ზიდანი. ბელგიასთან, ალბათ, სასტარტოში გვეყოლება — თქვა რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა — იმას კი ვერ გეტყვით, რამდენი წუთის სათამაშოდაა მზად."

რომანცევის აზრით, რუსეთის დღევანდელი გუნდის ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ პირველი პასის მიმცემი კაცი აკლიათ, ასეთი მოსტოვოია, მაგრამ ესპანური „სელტას" ნახევარმცველი ვერა და ვერ დადგა ფეხზე, სპარტაკელ ეგორ ტიტოვს კი ხშირად დაცვის დახმარება უწევს და ამით მისი შემტევი პოტენციალი იკლებს. მწვრთნელმა ისიც დასძინა, ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით, მაგრამ დაცვის თამაშით მაინც უკმაყოფილო ვარ, ბელგიასთან კი ვეცდებით, შერეული ვარიანტით ვითამაშოთ, დაცვასაც მივხედოთ და შევუტიოთ კიდეცო.

დღეს რუსთა შემადგენლობაში, შესაძლოა, სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" თავდამსხმელი ალექსანდრ კერჟაკოვი ვიხილოთ. კერჟაკოვი ძალიან სწრაფია და მოუხეშავ ბელგიელთა დაცვას ბევრ პრობლემას შეუქმნისო, მიაჩნიათ მწვრთნელებს.

რომანცევის თანაშემწე მიხაილ გერშკოვიჩი: „ბელგიასთან ფრეც გვაწყობს, ამიტომ მთავარი ფეხბურთელების ფსიქოლოგიური განწყობა იქნება, თუ მოედანზე იმის ფიქრით გახვედი, ოღონდ არ წავაგოო, აუცილებლად დამარცხდები. ამიტომ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ. ბელგიელებს კი კარგად ვიცნობთ, მათ ერთობ გამოცდილი მოთამაშეები ჰყავთ და იოლად არავის არაფერს დაუთმობენ. მარკ ვილმოტსს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ, ის სულ მოძრაობაშია, თავისუფალ ზონებს ეძებს და ხშირად პოულობს კიდეც, აკი წინა ორივე მატჩში გაიტანა."

სათუო ყოფილა 19 წლის ლოკომოტიველი ფორვარდის, რუსლან პიმენოვის თამაშიც, რომელსაც სერიოზული მკურნალობა სჭირდება და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ალბათ, ოპერაციას გაიკეთებს. არმიელი ვიაჩესლავ დაევი კი მუნდიალს ადრევე დაემშვიდობა. ის თავად მისულა მწვრთნელებთან და შინ გაშვება უთხოვია, უფროსობაც დათანხმებულა, ტრავმას მოსკოვში უკეთ უწამლებენო.

რომანცევის პათოსი ასეთია: „არ გვაინტერესებს, როგორ ითამაშებენ სხვები. უნდა გავიმარჯვოთ და მერვედფინალში გავიდეთ. თუ ბელგიას ვერ მოვუგეთ, მაშ, ჩემპიონატზე რისთვისღა მოვდიოდით..."

დაბოლოს, რუსთა მცველ-კაპიტანი, 32 წლის ვიქტორ ონოპკო ეროვნული გუნდის მაისურას მეასედ მოირგებს.

„წითელი ეშმაკუნები" დღემდე ორი ფრით და შესაბამისად, ამდენივე ქულით მოვიდნენ, ამიტომ სამქულიან რუსებთან აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ. მათი თავკაცი რობერ ვასეჟი, ვინც ახალი სეზონიდან ლიეჟის „სტანდარდის" მწვრთნელი გახდება, ამბობს: „ამბობენ, რომ იოლ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ მე ასე არასოდეს მიფიქრია. ახლა, როცა ჩემს ფეხბურთელებს მოგება სჭირდებათ, ეგებ მეტად მოინდომონ და წარმატებასაც მიაღწიონ".



ნიკო ვან კერკჰოვენი სკამიდან წამოდგება

ნახევარმცველი ივ ვანდერეგე: „წინა ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფის ბოლო მატჩში თურქებთან ფრეც გვყოფნიდა და ამ განწყობამ დაგვღუპა. ახლა კი დასაკარგი არაფერი გვაქვს, ამიტომ უფრო თავისუფლად ვითამაშებთ. უნდა შევუტიოთ და გავიმარჯვოთ."

ბელგიელებს დაუბრუნდებათ ნიკო ვან კერკჰოვენი, ვინც პირველი ორი შეხვედრა ტრავმის მიზეზით გამოტოვა და თავისიანებს დაცვაში ძალიან დააკლდა. ითამაშებს ცენტრალური მცველი გლენ დე ბოეკიც, რომელიც წინა მატჩში დაშავდა, მაგრამ „ეშმაკუნების" საბედნიეროდ, ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა.

**სოლომონ ბულისკვილი**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბელგია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ტუნისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

# სადღეისო ვითარება

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 5 მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 4 იონ დალ ტომასონი | (დანია) |
| 3 კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| პედრო პაულეტა | (პორტუგალია) |
| პაპე ბუბა დიოპი | (სენეგალი) |
| რაული | (ესპანეთი) |
| რონალდო | (ბრაზილია) |
| რივალდო | (ბრაზილია) |
| 2 ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| ფერნანდო იერო | (ესპანეთი) |
| იუნიჩი ინამოტო | (იაპონია) |
| მარკ ვილმოტსი | (ბელგია) |
| რობი კინი | (ირლანდია) |
| ნელსონ კუევასი | (პარაგვაი) |
| ჰასან შაში | (თურქეთი) |
| რონალდ გომესი | (კოსტა რიკა) |
| ხარედ ბორგეტი | (მექსიკა) |

| ავტოგოლი | |
|---|---|
| 1 ესტანისლაო სტრუესი | (პარაგვაი) |
| ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| კარლეს პუიოლი | (ესპანეთი) |
| ლუის მარინი | (კოსტა რიკა) |

| წითელი ბარათი |
|---|
| 1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია) |
| ალფაი ოზალანი (თურქეთი) |
| ჰაქან უნსალი (თურქეთი) |
| სალიფ დიაო (სენეგალი) |
| ტიერი ანრი (საფრანგეთი) |
| კარსტენ რამელო (გერმანია) |
| პატრიკ სუფო (კამერუნი) |
| კლაუდიო კანიჟა (არგენტინა) |
| კარლოს პარედესი (პარაგვაი) |
| ნასტია ჩეპი (სლოვენია) |
| შაო ჟიაი (ჩინეთი) |

# იძინეთ მშვიდად

ემზარ ზენაიშვილი
საგანგებოდ „სარბიელისთვის"
სეულიდან



**ჟურნალისტთათვის** გამართულ გუშინდელ ბრიფინგში მონაწილეობდა სკანდალურად ცნობილი ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენრუფინენი. როგორც იცით, ჩემპიონატის შემდეგ ის თავის მოვალეობას აღარ შეასრულებს, სოლიდური კომპენსაციაც მიიღო და როგორც ამბობენ, თავისი სარჩელი შვეიცარიის სასამართლოდან გამოიტანა. ბრიფინგის წამყვანმა კეიტ კუპერმა წინასწარ საკმაოდ მომთხოვნი ტონით გამოგვიცხადა, დღევანდელი შეხვედრა მატჩების ბილეთებს ეხება და არც ერთ სხვა საკითხზე გენერალურ მდივანს შეკითხვა არ დაუსვათო.

გენმდივანმა კი ილაპარაკა იმაზე რომ ჩემპიონატის ორგანიზაციის დონე მაღალია, ჩვენ მხოლოდ ერთი პრობლემა გვაქვს — სტადიონები ბოლომდე არ ივსება, ბილეთების გავრცელება-განაწილების ტექნოლოგიამ დაგვალალატაო. მიზეზებიც ჩამოთვალა — მთელ რიგ ქვეყნებში (პირველ რიგში ლათინური ამერიკა დაასახელა) ეკონომიკურმა კრიზისმა ტურისტთა ნაკადი შეამცირა, ბევრმა ეროვნულმა ფედერაციამ გამოთხოვილი ბილეთების რაოდენობის შესყიდვა ვერ შეძლო, ფიფას მარკეტინგულმა სამსახურმა თავი ვერ გამოიჩინა, ადგილობრივი მოსახლეობით კი 3,54 მილიონი მაყურებლის მოზიდვა ძალზე ძნელიაო.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თავად ვარ მოწმე: დანია — საფრანგეთის ხმაურიან მატჩზე ერთმა დანიელმა გულშემატკივარმა, შიშველ ტანზე ეროვნულ დროშაშემოხვეული და ნაირფრად მოხატული ცხვირ-პირით, როგორ გადაუღო ფოტო ერთ-ერთ კორეელ მაყურებელს, რომელსაც... ღრმა ძილისთვის მიეცა თავი. არა, სიმთვრალე გამორიცხულია, არც გვიანი საღამო იყო, დაღლაზე რომ ვიფიქროთ. არ აინტერესებს ფეხბურთი ამ კაიდედმამიშვილს და რა გინდა რომ ჰქნა! ადრეც შემიმჩნევია — მოედანზე გაქანებული მატჩის მიმდინარეობისას წიგნს რომ კითხულობდნენ ან კიდევ რაღაცას იზუთხავდნენ. ისე, როგორც ჩანს, კორეელებს ძილი უყვართ. მაგალითად, მეტროში, დილაა თუ საღამო, ყოველი ათი მგზავრიდან შვიდს მაინც სძინავს.

– მაისის ბოლოს საშუალება მქონდა მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში კორეისკენ გზად მიმავალი, საწვრთნელ შეკრებაზე შეჩერებული ბრაზილიის ნაკრების ვარჯიშს დავსწრებოდი და მათი მალაიზელებთან თამაში მეხილა. მაშინ ლუიშ ფელიპე სკოლარიმ განაცხადა — დღეს ჩვენი გუნდი უკვე 90 პროცენტით არის მზად საჩემპიონატო ბატალიებისთვის, ერთიორი მატჩიც და სრულ ფორმაში ვიქნებითო.

ის ორი მატჩიც უკვე ჩაატარეს და როგორც ბევრი მიიჩნევს, მათ ფინალში თამაშის შესანიშნავი შანსი აქვთ — ალბათ, ჩემპიონობისაც. ამ გზის გავლა საფრანგეთის და არგენტინის ჩამოშორებით ხომ ბევრად გამარტივდა. „მე უკვე შემიძლია ყოველ თამაშში ერთი გოლი მაინც გავიტანო" — ამბობს კარგ გუნება-განწყობილებაზე მყოფი რონალდო.

სუვონში უნდა გასცემოდა პასუხი კითხვას — როგორი განწყობით და მობილიზებით მიუდგებოდნენ ფეხბურთის ჯადოქრები კოსტარიკელებთან მატჩს, რომელიც მათთვის ფაქტობრივად არაფერს წყვეტდა. მატჩის წინ სკოლარი ირწმუნებოდა, ქულათა მაქსიმუმი უნდა დავაგროვოთ, ვალდებულნი ვართ, იმიჯს გავუფრთხილდეთო, თანაც პირველ ორ მატჩში სხვადასხვა ტაქტიკით ვითამაშეთ, ახლა კიდევ ერთი მოდელის გამოცდას ვაპირებო. ეჭვი არავის შეეპაროს, ჩვენ ყველაფერს გავიღებთ გამარჯვებისთვისო — ასეთი იყო მწვრთნელისა და ფეხბურთელების განწყობა.

აი, თოგაი ბაიათლი, სპორტულ ჟურნალისტთა მსოფლიო ასოციაციის თურქი პრეზიდენტი კი მაინც შეშფოთებული იყო — ეყოფათ კი ბრაზილიელებს მოტივაცია, რომ ძალა არ დაზოგონ და გაიმარჯვონო. მოგეხსენებათ, თურქებს ჩინელებთან დიდი ანგარიშით გამარჯვებაც არ შველოდათ, თუ კოსტა რიკა არ წააგებდა.

„დარწმუნებული ვიყავით, რომ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება არ გაგვიჭირდებოდა. ახლა კი პრობლემები შეგვექმნა. არადა, ალორძინების გზაზე მდგარ თურქულ ფეხბურთს მეორე ეტაპზე გასვლა ძალზე სჭირდება, ფეხბურთის პოპულარობაც იმატებს და სახელმწიფოსი და საზოგადოების მხარდაჭერაც" — მითხრა მჟავე ხასიათზე მყოფმა თოგაიმ.

ახლა კი ეს კაცი კარგ ხასიათზე ბრძანდება.





## იყიდება უნიკალური წიგნები

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81


# სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს? დავიშალეთ, ბიჭებო!

**არგენტინის** ხელმოცარული ნაკრები გუშინ გაემგზავრა შინისკენ. მოგეხსენებათ, ტურნირის წინ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად გამოცხადებულმა ამ სამხრეთამერიკულმა გუნდმა ნიგერიასთან 1:0 გამარჯვების შემდეგ, ასეთივე ანგარიშით წააგო ინგლისთან, ხოლო ბოლო შეხვედრაში შვედებთან 1:1 ითამაშა.

ახალგაზრდა ნახევარმცველმა პაბლო აიმარმა ხელები გაშალა:

„ძნელია გოლის გატანა, როდესაც მოწინააღმდეგე ათი კაცით იცავს თავს. ყველა ღონე ვიხმარეთ მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვატყობ, ბევრი გუნდი შედეგს თავგადაკლული დაცვით აღწევს. იმედი მაქვს, ისინი ძალიან შორს ვერ წავლენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ფეხბურთზე სიარულს თავს დაანებებს".

გაბრიელ ბატისტუტამ კი სანაკრებო კარიერა ამით დაასრულა:

„თითქოს მეტოქის კარი მეტად და მეტად პატარავდებოდა, ბოლოს კი სულ დაიკეტა. მე თუ მკითხავთ, არგენტინის ჩემპიონატიდან გამოთიშვა უსამართლობა იყო. კარგად ვიცი, რისი უნარიც შეგვწევდა და რა ძალ-ღონეც შევალიეთ პირველ სამ შეხვედრას. ზოგადად კი ერთადერთი გუნდი, რომელიც იტყვის, რომ ოთხწლიანი ციკლი კარგად ჩაატარა, მომავალი ჩემპიონი იქნება. სხვა ყველა ხელმოცარულთა ბანაკიდანაა".



მარსელო ბიელსამ კროსისთვის მოიცალა

„იმედგაცრუებულნი ვართ — თქვა ხუან ვერონმა, რომელიც ტოკიოსკენ მიმავალ მატარებელში ჯდებოდა. — ის და მისი რამდენიმე თანაგუნდელი იაპონიის დედაქალაქში ოჯახებს უნდა შეხვდნენ — ვერ გაგვიგია, რა მოხდა".



კლაუდიო ლოპესი და ხუან ვერონი მუნდიალიდან უსახელოდ წავიდნენ

ვერონთან ერთად მატარებელში ავიდნენ ერნან კრესპო, კლაუდიო ლოპესი და ხუან პაბლო სორინი.

მარსელო ბიელსა, რომელმაც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციას თავი აარიდა, მოგვიანებით, დარდის გასაქარვებლად, კროსს შეუდგა. ის, მისი თანაშემწეები და ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი მეორე დღეს ტოკიოს „ჰანედას" აეროპორტიდან ფრანკფურტის გავლით ბუენოს აირესის გზას დაადგნენ.

მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა კი პირდაპირ ევროპისკენ აიღო გეზი. საზაფხულო არდადეგების სამშობლოში გატარებას თურმე ძალიან ცოტანი აპირებენ.

**ბაჩუნა ძიძია**

# მითხარი, რამე მითხარი

**რატომ** გამოეთიშა მსოფლიოს ჩემპიონატს სამხრეთ აფრიკა? იმიტომ, რომ ყურებში თითი დაიცო. დიახ, ნუ გაგიკვირდებათ. აფრიკელები ესპანეთს რომ ხვდებოდნენ, პარალელურად მათი კონკურენტი პარაგვაი სლოვენიას ეთამაშებოდა. სამხრეთაფრიკელები და პარაგვაელები ერთმანეთის ანგარიშზე იყვნენ დამოკიდებულნი და... აი, ასეთ ვითარებაში აფრიკელებმა გადაწყვიტეს იქითა მატჩის ანგარიში არ გაეგოთ.

ვინც ამ თამაშებს უცქირა, კარგად ეხსომება, რა საოცარი ამბებიც დატრიალდა: პარაგვაი—სლოვენიის შეხვედრის, 84-ე წუთზე სამხრეთამერიკელებმა მესამე გოლი გაიტანეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ აფრიკელებს დარჩენილ დროში თავის მოკვლა და ესპანეთის კარში გოლის გატანა სჭირდებოდათ, მაგრამ ნაცვლად ამისა მათ საკუთარი საჯარიმოს წინ ბურთის მშვიდი გორება დაიწყეს და ასე, სვენებ-სვენებით დაელოდნენ საფინალო სასტვენს, ხოლო საფინალო სასტვენის შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალნი აფრიკელები თავიანთ სათადარიგოებს და მწვრთნელებს ეკითხებოდნენ, რა მოხდა, გავედით თუ გავვარდითო.



სამხრეთაფრიკელთა სიხარული ნაადრევი გამოდგა

მატჩის შემდეგ „ბაფანა, ბაფანას" თავკაცი იომო სონო ბრძანებდა:

„არ მინდოდა ფეხბურთელებს პარაგვაის შეხვედრის ანგარიში რომ სცოდნოდათ, წარმოგიდგენიათ, თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მათთვის რომ მეთქვა, პარაგვაი 3:1 იგებსო, რა მოხდებოდა? ისინი ხომ მოკვდებოდნენ".

მაგრამ ინფორმაცია ოხერია, საიდან სად გაძვრება და ვის ყურამდე მივა, კაცი ვერ გაიგებს. აი, რა მოჰყვა აფრიკელთა სათადარიგო თავდამსხმელმა ჯორჯ კუმანტა რაკისმა:

„თამაშის დამთავრებამდე ათი წუთი რომ რჩებოდა, უცბად პანიკა ატყდა. ვიღაცეებმა ყვირილი დაიწყეს, კიდევ ერთი გოლი გვჭირდებაო და მხოლოდ ეს იყო, რაც ჩვენს ყურამდე მოვიდა. ზუსტად არაფერი ვიცოდით".

მეორე თავდამსხმელს, ბენი მაკკარტის კიდევ უკეთესი შეემთხვა:

„მოედნიდან რომ გამოვდიოდი ესპანელმა ფეხბურთელებმა მითხრეს, მგონი შემდეგ ეტაპზე თქვენც გახვედითო, მაგრამ, როდესაც გასახდელში შევედი და ტელევიზორს შევხედე, სწორედ პარაგვაელთა მესამე გოლი ვნახე და მივხვდი, რომ ჩვენთვის ყველაფერი დამთავრებული იყო".

ამ დროს, სონო სადღაც ცუდად გამხდარა. უფრო სწორად, ეს ჭარმაგი აფრიკელი გასახდელში საკუთარ ფეხბურთელებთან ვერ შევიდა და ორიოდ წუთში პრესკონფერენციაზე გამოცხადდა სალ-სალამათი. იქ განაცხადა, რამდენიმე დღეა კუნთი თუ ნერვი მაქვს გაკავებულიო.

**ბაჩუნა ძიძია**

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 13 ივნისი გია ახვლედიანი

# გაგვატარეთ, გაგვატარეთ...

**სან პიეტრო დი რომა!** სანტა მარია! მამა მია! ო დიო, დიო! ესაა იტალია ვარო? მოვდივარ და მომიხარია და გოლებს არ მითვლიანო? ეჰ...

ეს ტრილერი იყო, რომელშიაც მთავარი როლი შეასრულა გუნდმა, რომელიც ისე მიდიოდა ჩემპიონატიდან, რომ მაყურებელს მისი ვერცერთი ფეხბურთელის გვარი ვერ დაემახსოვრებინა. ეკვადორის ნაკრებმა კუდი მოიქნია — მოუგო ნერვიულობითა და ათასი სულელობით შეპყრობილ ხორვატიას და ამით მერვედფინალისკენ გაუხსნა გზა იტალიის ნაკრებს, რომელიც ეკვადორელთა გმირობის წყალობით წაგებულიც კი გადიოდა პლეი ოფში.

არ ვიცი, არ ვიცი. ამ საღამოს კიდევ ერთი ფავორიტი მიდიოდა შინ და გადარჩა. გინდათ იღბალზე ილაპარაკეთ და გინდათ იმაზე, რომ იტალიელებს ჩვევად აქვთ ჯგუფურ ტურნირში არცთუ შთამბეჭდავად თამაში. დღეს იტალია ერნან დარიო გომესმა იხსნა. ჯოვანი ტრაპატონის სულ ცოტა უკლდა, რომ ჯგუფში ჩარჩენილ კიდევ ერთ დიადად ქცეულიყო. ჯგუფში ჩარჩენა კი დიადთათვის ასჯერ მწარეა, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთათვის. აი, გუშინ, სამხრეთაფრიკელებმა სულაც არ იცოდნენ, რომ პარაგვაიმ მატჩის ბედი შემოატრიალა და ამიტომ უდარდელად აგორებდნენ ბურთს ესპანელებთან შეხვედრაში. ეს მათი მწვრთნელის „ბრძნული“ გადაწყვეტილების გამო მოხდა, მისტერ სომომ გუნდს პარალელური მატჩის შედეგი არ უთხრა. ასეა, როცა არ იცი, რა არის მერვედფინალი.

მაგრამ ტრაპიმ ხომ იცის, რა არის მერვედფინალი? უფრო იქეთა ფინალებიც იცის. თამაში კი მართლა ყველამ ისწავლა. ალბათ საუდელთა გარდა. უბრალოდ კარგ თამაშზე არ ვამბობ. ნამდვილ, ძლიერ თამაშზე.

არგენტინელთა გავარდნას კი გამოეხმაურა ინგლისელი თავდამსხმელი ტედი შერინგემი, რომელიც ერთ-ერთია იმ გუნდიდან, ოთხი წლის წინათ რომ გამოთიშა არგენტინის ნაკრებმა მერვედფინალიდან.

„კარგი შეგრძნებაა, რომ არგენტინელთა შინ გამგზავრებას ჩვენც შევაშველეთ ხელი. რომ ვხედავდე როგორ მიდიან, ხელს დავუქნევდი. მათ ძალიან გაგვამწარეს მაშინ და იმათ, ვინც კვლავ გუნდში ვართ ოთხი წლის შემდეგ, ის თამაში არასოდეს დაგვავიწყდება. ახლა, როცა არგენტინელები და ფრანგები შინ გაემგზავრნენ, ჩვენ რაღაც შანსი გვაქვს, თუმცა, რაიმეს დაგეგმვაზე ლაპარაკი ზედმეტია. მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენებურ ასოციაციის თასს ჰგავს, გგონია, რომ ვიღაც პატარას ხვდები და უნდა მოუგო, ამ დროს კი აგებ“.

ინგლის-არგენტინის ურთიერთობებში კი ამ საფეხბურთო დაპირისპირების მიუხედავად დათბობა შეინიშნება. ერთი, რომ დიეგო მარადონას რაღაც ინგლისურ ფილმში იღებენ ეპიზოდურ როლში და მეორეც, მოდურმა არგენტინელმა დალაქმა გვარად როხომ გამოაცხადა, რომ მის კლიენტებში, ანც მოძღვრებსა და მსახიობებში ძალიან პოპულარული შექნილა ბექჰემის სულელური, მამლაყინწური ვარცხნილობა. მაგრამ ეს ყველაფერი ხუმრობაა, გულგატეხილი არგენტინელები კი თავიანთი ფეხბურთელების ალალ ბოდიშს ისმენენ. ხუან ვერონმა თქვა, რომ შვედეთ — არგენტინის მატჩის საფინალო სასტვენი მისი ცხოვრების უსაშინლესი წამი იყო, დიეგო სიმეონემ კი, როგორც სამგზის უიღბლო კაცი, ისე ვამთავრებ კარიერასო. თუმცა, სიმეონემ უფრო ავიც გამოურია, მან თქვა, რომ ერთი თანაგუნდელის ინდივიდუალურმა თვისებებმა ძალიან იმოქმედა გუნდის განწყობაზე და ამას არასოდეს აპატიებს იმ თანაგუნდელს.

ჩვენ ეჭვად კი ვფიქრობთ, რომელია ეს თანაგუნდელი, მაგრამ ეჭვებს აქ ვერ მოგახსენებთ. ამასობაში კი შინ უხმაურად ჩაფრინდა საფრანგეთის ნაკრები, ლონდონს მხოლოდ ტიერი ანრი გაემგზავრა, დანარჩენები რუასის აეროპორტში ჩაფრინდნენ და საქმე ისე მოაწყვეს, რომ ხუთასამდე მომლოდინე გულშემატკივარს არ შეხვედროდნენ და პირდაპირ სატრანზიტო თვითმფრინავებში ჩამსხდარიყვნენ. გულშემატკივრებს მხოლოდ მანიუ პეტიმ ჩაუარა, ოღონდ თავდახრილმა და უსიტყვომ.

არგენტინის ფეხბურთის უფროსობა კი აცხადებს, რომ სულაც არ უნდა მარსელო ბიელსას გაშვება და თუ მწვრთნელი მოისურვებს, ის ახალ კონტრაქტს მიიღებს. არავინ იცის, რას გადაწყვეტს ბიელსა. მისი ურუგვაელი კოლეგა ვიქტორ პუა კი უკვე გადადგა თანამდებობიდან. პუა ურუგვაის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი იყო 90-იან წლებში და ამ ნაკრებს წარმატებით ათამაშებდა. მერე დანიელ პასარელას თანაშემწედ მუშაობდა და ამ უკანასკნელის ნაკრებიდან საჩქაროდ წასვლის შემდეგ დაიკავა მთავარი მწვრთნელის თანამდებობა.

ბიელსასი არ იყოს, ასევე არავინ იცის, დარჩება თუ არა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად ლუიშ ფელიპე სკოლარი, რომელმაც სიმღერ-სიმღერით შეაბიჯა მერვედფინალში.

მოხდენილი კოსტარიკელები ჩემპიონატს გამოეთხოვნენ, ბრაზილიელმა სოციოლოგებმა კი ერთი რამ აღმოაჩინეს: ბრაზილიელი ერის სექსუალური აქტივობა თურმე სწორედ იმ დროს მატულობს, როცა ეროვნული ნაკრები იგებს. სოციოლოგებს ისიც დაუთვლიათ, რომ ჩემპიონატის დღეებში განსაკუთრებით კარგად იყიდება ყვითელ-მწვანე, ბრაზილიელთა ეროვნული ფერის პრეზერვატივები. ბრაზილია გახლავთ ფეხბურთის, ცეკვა-თამაშისა და სექსის ქვეყანა, ბრაზილია ამით ცოცხლობს და სოციოლოგთა ამ აღმოჩენასაც არავინ მიანიჭებს რაიმე სადებატო მნიშვნელობას.

ჩვენ კი დავემშვიდობოთ პაულო ვანჩოპეს და მის მხიარულ ამხანაგებს, ყური არ ვუგდოთ დიდი ფილის ტრაბახს და ცალი თვალით მერვედფინალისკენ გავიხედოთ.

მე მგონია, რომ ესპანეთი ლამაზად მოთამაშე, რბილი გუნდია. მან სამივე თამაში მოიგო ჯგუფურ ტურნირში და შორს წასვლასაც გეგმავს. მაგრამ ჩემზე ძალიან ზემოქმედებს ესპანელთა სამსოფლიოჩემპიონატო წარსული. და კიდევ მე არა მაქვს ფერნანდო იეროსა და ნადალის იმედი შორ გზაზე.

ეგებ ვცდები, მაგრამ ესპანელებს რთული მატჩი უნდა ელოდეთ ირლანდიელებთან. არა იმიტომ, რომ ირლანდია ძლიერია და ამიტომ ძალუძს ესპანელთა დამარცხება, არამედ, იმიტომ, რომ ირლანდიელთა მოთმინება და შანსის ლოდინის უნარი ამოუწურავია. შეტევაში ესპანეთს აქვს რამდენიმე დიდი კოზირი ირლანდიის წინააღმდეგ, ირლანდიას კი სულ ორი, საქვეყნოდ ცნობილი კოზირი: იან ჰარტის ზაჯარიმო დარტყმა და ნაილ ქუინის თავურს შეგებებული რობი კინის ფეხი. ეს ორი კოზირი ცოტაა მერვედფინალისთვის, მაგრამ მიკ მაკარტი, [illegible] შემოქმედი მწვრთნელი ამბობს: „რაული ჩემი საყვარელი ფეხბურთელია, მაგრამ არ მგონია, რომ ესპანელებს უხარიათ ჩვენთან შეხვედრა, იციან რომ მძიმე თამაში ელით“.

ირლანდია ფრეების ოსტატია, პლეი ოფში ფრეები არ არის. ფავორიტი, რა თქმა უნდა, ესპანეთია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ირლანდიელები მაინც იმ თავიანთ საფრეო თამაშს მიაწვებიან. სხვანაირი მათ არ ეხერხებათ. ესპანეთს ამოასუნთქებს სწრაფი გოლი, თუმცა, ეს კიდევ არ იქნება თამაშის ბოლო. ძალიან ძნელია წარმოიდგინო, რომ ანგარიშს ირლანდიელები გახსნიან, მაგრამ თუ ასე მოხდა, ესპანელებს გაუჭირდებათ, რადგან მათი კოხტა მანერა და აუჩქარებელი თამაში აუცილებლად შეეჯახება ირლანდიელთა მხარბეჭს.

ეგებ ეს წინასწარი საუბარი ბუნდოვანიც იყოს, მაგრამ ამგვარი საუბრები ფეხბურთის ყოველ გულშემატკივარს აქვს საკუთარ თავთან და ხშირად გულშემატკივარი გრძნობს ხოლმე მოსალოდნელი თამაშის სურათს. ზოგჯერ მისი სურათი სინამდვილეს დაუახლოვდება ფერებით, ზოგჯერ კი აცდება. ამით იოლად მოწმდება ხოლმე, რამდენად სწორია მისი შეხედულებები ამა თუ იმ გუნდზე.

მექსიკა — იტალიის შეხვედრის წინარე ამბები გვარიანად საინტერესო იყო: მეხიკოში ძილი გასტეხია ლათინური ამერიკის უმდიდრეს ადამიანს, მულტიმილიონერ კარლოს სლიმს. ეს კაცი ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის გამო საერთოდ აღარ ძინავს. სლიმის აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატი შვებულების ნაირსახეობაა და ადამიანებს ხალისსა და ემოციებს უმძაფრებს. ამ დროს საქმეც იოლად გამოგდის და არც იღლებიო, ამბობს ეს მდიდარი კაცი.

იტალიელები კი მექსიკელებთან ომის წინ პატარა და ზღვისპირა ქალაქ ბეპუში დამკვიდრდნენ, კიუშის კუნძულზე. ბეპუდან სულ 40 კილომეტრია ოიტამდე, სადაც გაიმართა კიდეც შეხვედრა, რომელმაც სახელი, დიდება და რწმენა ვერ შემატა იტალიელებს, თუმცა მერვედფინალის საგზური კი მოუტანა. ბეპუ განთქმული ყოფილა გამაჯანსაღებელი წყლით, თუმცა, ვარჯიშში გართულ იტალიელებს ეგრეც ვერ მოუხერხებიათ ამ მაცოცხლებელი წყლით სავსე აბაზანაში გადგაფუნება. დგაფუნის დრო მართლაც არ არის, როცა სასწორზე ნაკრების ბედი ჰკიდია.



იტალიელთა მრავლისმნახველ მწვრთნელს ჯოვანი ტრაპატონის მსნელად ეკვადორის ნაკრები მოევლინა

## საგანგებო ლოზუნგი

## ფორცა, ეკვადორ!





ფრანგ ქომაგებს თავაწეული მხოლოდ ემანუელ პეტი შეხვდა



ბრაზილია ბრაზილიელებზე ვიაგრასავით მოქმედებს

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 145 | ტუნისი-იაპონია | 6,0 | 3,2 | 1,6 | 2,05 | 1,25 | 1,05 |
| 11.30 | 146 | ბელგია-რუსეთი | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,4 | 1,3 | 1,3 |
| 16.30 | 147 | პორტუგალია-კორეა | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 16.30 | 148 | პოლონეთი-აშშ | 4,2 | 2,9 | 1,9 | 1,7 | 1,3 | 1,1 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 149 | გერმანია-პარაგვაი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 16.30 | 150 | დანია-ინგლისი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 151 | შვედეთი-სენეგალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 16.30 | 152 | ესპანეთი-ირლანდია | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | | |
| 11.30 | 1045 | ტუნისი-იაპონია | 6,5 | 2,1 | 2,0 |
| 11.30 | 1046 | ბელგია-რუსეთი | 3,3 | 2,1 | 2,8 |
| 16.30 | 1047 | პორტუგალია-კორეა | 2,3 | 2,1 | 4,4 |
| 16.30 | 1048 | პოლონეთი-აშშ | 3,6 | 2,1 | 2,5 |
| | | 15 ივნისი | | | |
| 11.30 | 1049 | გერმანია-პარაგვაი | 2,2 | 2,1 | 4,7 |
| 16.30 | 1050 | დანია-ინგლისი | 4,0 | 2,2 | 2,3 |
| | | 16 ივნისი | | | |
| 11.30 | 1051 | შვედეთი-სენეგალი | 2,7 | 2,1 | 3,4 |
| 16.30 | 1052 | ესპანეთი-ირლანდია | 2,1 | 2,1 | 5,3 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | |
| 11.30 | 2045 | ტუნისი-იაპონია | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2046 | ბელგია-რუსეთი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2047 | პორტუგალია-კორეა | 1,85 | 1,65 |
| 16.30 | 2048 | პოლონეთი-აშშ | 1,8 | 1,7 |
| | | 15 ივნისი | | |
| 11.30 | 2049 | გერმანია-პარაგვაი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2050 | დანია-ინგლისი | 1,8 | 1,7 |
| | | 16 ივნისი | | |
| 11.30 | 2051 | შვედეთი-სენეგალი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2052 | ესპანეთი-ირლანდია | 1,75 | 1,75 |

### რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი

12 ივნისი. 11.30. 3701

| | |
|---|---|
| A | 7,0 |
| B | 5,0 |
| C | 3,5 |
| D | 8,0 |
| E | 6,0 |
| F | 3,0 |
| G | 3,8 |
| H | 10,0 |

### I ადგილი ჯგუფში

| 14 ივნისი<br>16.30 3004<br>D ჯგუფი. | | 14 ივნისი<br>11.30 3008<br>H ჯგუფი | |
|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2,4 | რუსეთი | 4,0 |
| პოლონეთი | 1,0 | ბელგია | 5,0 |
| კორეა | 2,2 | იაპონია | 1,2 |
| აშშ | 1,8 | ტუნისი | 1,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | |
| 11.30 | 2145 | ტუნისი-იაპონია | 1,85 | 1,65 |
| 11.30 | 2146 | ბელგია-რუსეთი | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2147 | პორტუგალია-კორეა | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2148 | პოლონეთი-აშშ | 1,7 | 1,8 |
| | | 15 ივნისი | | |
| 11.30 | 2149 | გერმანია-პარაგვაი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2150 | დანია-ინგლისი | 1,7 | 1,8 |
| | | 16 ივნისი | | |
| 11.30 | 2151 | შვედეთი-სენეგალი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2152 | ესპანეთი-ირლანდია | 1,75 | 1,75 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | | |
| 11.30 | 2945 | ტუნისი-იაპონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2946 | ბელგია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2947 | პორტუგალია-კორეა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2948 | პოლონეთი-აშშ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 15 ივნისი | | | |
| 11.30 | 2949 | გერმანია-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2950 | დანია-ინგლისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 16 ივნისი | | | |
| 11.30 | 2951 | შვედეთი-სენეგალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16:30 | 2952 | ესპანეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1145 | ტუნისი-იაპონია | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 | 3,2 | 25,0 | 12,0 | 2,2 |
| 11.30 | 1146 | ბელგია-რუსეთი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.30 | 1147 | პორტუგალია-კორეა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 16.30 | 1148 | პოლონეთი-აშშ | 6,0 | 8,0 | 20,0 | 7,0 | 4,0 | 3,6 | 20,0 | 8,0 | 3,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 15 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1149 | გერმანია-პარაგვაი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 16.30 | 1150 | დანია-ინგლისი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| | | 16 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1151 | შვედეთი-სენეგალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 16.30 | 1152 | ესპანეთი-ირლანდია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |


გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო ახალციხე. ნათენაძის №7

მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

სამუშაო საათები $9^{00}$ — $19^{00}$

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

ნებისმიერ ბიუროში


### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | |
| 11.30 | 2245 | ტუნისი-იაპონია | 3,4 | 1,3 |
| 11.30 | 2246 | ბელგია-რუსეთი | 1,8 | 2,0 |
| 16.30 | 2247 | პორტუგალია-კორეა | 1,65 | 2,3 |
| 16.30 | 2248 | პოლონეთი-აშშ | 2,3 | 1,65 |
| | | 15 ივნისი | | |
| 11.30 | 2249 | გერმანია-პარაგვაი | 1,4 | 3,0 |
| 16.30 | 2250 | დანია-ინგლისი | 2,6 | 1,5 |
| | | 16 ივნისი | | |
| 11.30 | 2251 | შვედეთი-სენეგალი | 1,7 | 2,2 |
| 16.30 | 2252 | ესპანეთი-ირლანდია | 1,4 | 3,0 |

### რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

14 ივნისი. 11.30. 3801

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,4 |
| ამერიკა | 2,2 |
| აფრიკა | 25,0 |
| აზია | 30,0 |

### რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

15 ივნისი 11.30. 2401

| | |
|---|---|
| 0-2 | 2,2 |
| 3-4 | 1,9 |
| 5 ან მეტი | 3,3 |

სარბიელი

სპორტული ლატარეა

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

# ვაი, რა დავკარგეთ

## ქუთაისში ზედმეტყოფილი ტორპედოს პირველკაცად დაუბრუნდა

საქართველოს ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედო-ში" ახალი მწვრთნელი რომ დანიშნეს, უკვე გაუწყეთ. ბელგიაში მცხოვრებ უკრაინელ ალექსანდრ შტელინს ბევრი არც უფიქრია, ქუთაისური კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძეს წინადადება მისთვის თავიდანვე მისაღები გამოდგა, თუმც დეტალებზე მოლაპარაკებამ დრო მაინც წაიღო. საბოლოოდ შტელინის „ტორპედოს" მწვრთნელად დანიშვნა გუშინწინ გადაწყდა და გუშინვე ის თბილისში ჩამოფრინდა, ამჯერად ქვეყნის ჩემპიონის მწვრთნელის სტატუსით.

ალექსანდრ შტელინის უცხო გარემოში მუშაობა არ მოუწევს. ის 1989 წელს თბილისის „დინამოში" იყო მიწვეული დამხმარე მწვრთნელად, 2000 წელს კი ქუთაისის „ტორპედოში".

— საქართველოში მესამედ ჩამოვედი და ვიმედოვნებ, „ტორპედო" მიღწეულს ჩემს ხელში არ დაჰკარგავს. კლუბის პრეზიდენტთან შეთანხმებისამებრ, ქუთაისში ერთ სეზონს დავრჩები. მერე ვნახოთ, თუ ქუთაისელებს შედეგი დააკმაყოფილებს, გავაგრძელებ მუშაობას, რისი სურვილიც ნამდვილად მაქვს.

„ტორპედოში" პირველად 2000 წელს მიმიწვიეს, მაგრამ შარშან მარტში ჩემი ნებით დავტოვე გუნდი. საქმე ისაა, რომ „ტორპედოში" სამი მწვრთნელის სამუშაო არ იყო. დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი და მე ვიყავით გუნდში. ერთ-ერთი ჩვენგანი ზედმეტი გახლდათ. მივიჩნიე, რომ ასეთი თავად ვიყავი და გაცლა ვარჩიე, მით უმეტეს, ხომ უცხოელი ვარ და ქუთაისში ოჯახის გარეშე ვცხოვრობდი. დავბრუნდი ბელგიაში და მეოთხე დივიზიონის „მონტენეი" ჩავიბარე. ბელგიის ელიტარული გუნდების მწვრთნელთა შორის გარევა ერთობ საძნელო საქმეა. სხვათა შორის, იოჰან ბოსკამპს ვიცნობ, თუმც ვერ ვიტყვი, ჩემი უახლოესი მეგობარიაო.

| ალექსანდრ შტელინი | |
|---|---|
| | 1.10.1959 (უკრაინა. მუკაჩოვო) |
| 1986-91 | დინამო (უკრაინა), თანაშემწე |
| 1991-92 | მონასტერი (ტუნისი), მწვრთნელი |
| 1992-93 | ეტუალ საჰელი (ტუნისი), მწვრთნელი |
| 1993-94 | მონტენეი (ბელგია), მწვრთნელი |
| 1994-95 | ლიეჟი (ბელგია), მწვრთნელი |
| 1995-96 | ტილიგული (მოლდოვა), მწვრთნელი |
| 1997-98 | ცსკა (კიევი, უკრაინა), მწვრთნელი |
| 1998-99 | მეტალურგი (ზაპ. უკრაინა), მწვრთნელი |
| 2000-01 | ტორპედო (საქართველო), თანაშემწე |
| 2002 | მონტენეი (ბელგია), მწვრთნელი |
| 2002-03 | ტორპედო (საქართველო), მწვრთნელი |



ქართულ ფეხბურთზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა მაქვს. ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარი ვარ და, ჩემი აზრით, სწორედ ასეთი ფეხბურთი იგებს. ინდივიდუალურად ძლიერს მეტოქის გაბითურება არ უჭირს, რაციონალურად თამაშობს, ძალას სწორად ანაწილებს. ჩემი ფავორიტიც ასე მოთამაშე გუნდია — ბრაზილია. უკრაინულ და ბელგიურ ფეხბურთს შორის დიდი სხვაობა არც არის, თითქმის ერთნაირად თამაშობენ და, როგორც ვთქვი, უფრო სამხრეთულ ფეხბურთს ვაფასებ.

ქართველმა ფეხბურთელებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრი დაკარგეს, თუმც იმდენი არა, რამდენიც სხვა რესპუბლიკებმა. ქართველებმა შეინარჩუნეს ის, რაც ჩემთვის ახლოა — ბურთის გრძნობა. სამწუხაროდ კი ისეთივე ბრძოლისუნარიანები აღარ არიან, როგორებიც იყვნენ. და მაინც, ქართული ფეხბურთი ჩემთვის გამორჩეულია. რაც უნდა იყოს, მწვრთნელობას როცა ვიწყებდი, რამდენიმე თვე აქ, თბილისში გავატარე.

ცხონებული ვალერი ლობანოვსკის გზის გამგრძელებლად ნუ ჩამთვლით. მასთან 5 წელიწადი ვიმუშავე, ბევრი ვისწავლე და ახლა მიღებულ ცოდნას ვიყენებ. ვეცდები, ჩემი ეს გამოცდილება, იდეები ქუთაისელ ფეხბურთელებს გავუზიარო და კარგი გუნდი შევქმნა, ისეთი, რომელიც ქომაგს ასიამოვნებს, დააკმაყოფილებს. „ტორპედოს" პრეზიდენტ ზურაბ ხინიკაძესაც პირველი ეს ვკითხე: რას ითხოვთ ჩემგან? მან კი მიპასუხა, ჩემპიონთა ლიგის მოგებას მიზნად არ გისახავთ, მაგრამ ისეთი გუნდი გააკეთე, საქართველოს, ქუთაისს რომ ეკადრება და ევროპაში თავს არ შეირცხვენსო. ვეცდები. სხვას ახლა ვერაფერს გეტყვით. ორი საათის ჩამოსული ვარ და ჯერ გუნდსაც არ მივსალმებივარ.

მისალმებამდე კი ალექსანდრ შტელინი თბილისიდან ბაკურიანში შეივლის. ის საქმეს უკვე შეუდგა. აინტერესებს, ღირს თუ არა „ტორპედოს" ბაკურიანში შეკრებაზე წაყვანა.

**კობა ინასარიძე**

# ქინქლაძეს პირველი დივიზიონი შეეშალა

## კიგანი მაგარია, ბოლი ჯიგარი, ტოდი...



*ის დრო დადგა, როცა გიორგი ქინქლაძე კვლავაც გუნდის დატოვებას ეშურება.*

*ადრე იყო, გიოს ორ წელიწადს უკაიჟინებდნენ, „მანჩესტერ სიტი" საშენო არ არის და უკეთესი გუნდის წინადადებას დაყაბულდი, არჩევანი მრავლად გაქვსო. მერე ჰოლანდიურ „აიაქსში" გადასულს ვერ აეწყო საქმეები საკადრისად და ახალი კლუბის მოძებნამდე რამდენიმე თვე უთამაშებელი დარჩა. ახლაა და გიორგი ქინქლაძეს პრემიერლიგიდან გავარდნილ „დერბიზე" აუცრუვდა გული და თავის აგენტთა სიტყვას ელის, რომელი გუნდი როგორი პირობით მიიწვევს.*

*მაინც და მაინც სახარბიელო ქინქლაძის კარიერაში არც დერბული პერიოდი ყოფილა. უნიჭიერესმა ქართველმა ნახევარმცველმა პრემიერლიგაში მოტივტივე, საბოლოოდ კი ჩაძირულ კლუბში ორი სეზონი ისე გაატარა, სტაბილურად თამაში რომ ვერ მოახერხა. მხოლოდ ბოლო ხანს დამკვიდრდა ის „დერბის" ძირითად შემადგენლობაში, ახალმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ ქინქლაძის საჭიროება კი დაინახა, მაგრამ მუდმივ აუტსაიდერს ვერც გრეგორიმ უშველა, ვერც ქინქლაძის რეგულარულმა თამაშმა და გუნდიც პირველ დივიზიონში დაქანდა, საიდანაც ამოყვინთვას, გიოს თქმით, საკმაო დრო დასჭირდება. მას კი აღარ სურს წყალწაღებულ უამბიციო კლუბში თამაში, თანაც ქვედა დივიზიონში.*

— „დერბის" კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გუნდს ალბათ, მალე დავტოვებ — გვითხრა თბილისში ჩამოსულმა გიორგი ქინქლაძემ — „დერბიზე" გული ამიცრუვდა, ახლა აგენტები ჩემთვის გუნდს ეძებენ და პასუხს ივლისის დამდეგისთვის ველი.

**— გასულ სეზონში შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— თითქოს კარგად დავიწყე. შემოდგომაზე სანაკრებო მატჩების შემდეგ „დერბიში" დაბრუნებული ნორმალურ ფორმაში ვიყავი, მწვრთნელიც კმაყოფილი იყო. მერე კი დავშავდი, რამდენიმე კვირა გამიცდა. ამას მწვრთნელის შეცვლაც მოჰყვა. გამოვჯანმრთელდი და ფორმაც აღვიდგინე, მაგრამ რატომღაც ახალმა მწვრთნელმა კოლინ ტოდმა ამითვალწუნა და არ მათამაშებდა. მოკლედ, მთლად სასიამოვნო, კარგი სეზონი არ მქონდა, მეტი შემეძლო.

**— „დერბის" რომ დატოვებ უკვე გადაწყვეტილია?**

— გუნდის მწვრთნელ ჯონ გრეგორის ამის თაობაზე უკვე ვესაუბრე. ის ხელს არ შემიშლის.

**— მაინც რა მოხდა, რატომ გსურს „დერბიდან" წასვლა? იმიტომ, რომ გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა თუ სხვა მიზეზის გამო?**

— რა თქმა უნდა, გუნდის დატოვების უპირველესი მიზეზი პირველ დივიზიონში დაქვეითებაა.

**— კი, მაგრამ პირველ დივიზიონში ადრეც გითამაშია.**

— ვითამაშე და შევცდი. აღარ მსურს, იგივე გავიმეორო. ერთიცაა, „დერბის" მომავალი არა აქვს, პრემიერლიგაში ამ გუნდის დაბრუნებას დიდი ხანი დასჭირდება. ღლესდღეობით „დერბის" ისეთი შემადგენლობა არ ჰყავს, გაისადვე რომ აღზევდეს. გრეგორი მცოდნე მწვრთნელია, ფეხბურთელების შერჩევის უნარიც აქვს, მაგრამ გუნდის ფინანსები ძლიერ ფეხბურთელთა ყიდვას ვერ გასწვდება.

**— რომელი გუნდები გეპატიჟებიან?**

— აგენტებს ჯერ ჩემთვის არაფერი უთქვამთ. მთავარია ამბიციურმა, ევროტურნირების საგზურისთვის მებრძოლმა გუნდმა მიმიწვიოს და არც დავფიქრდები, ისე წავალ.

**— ასეთ გუნდში ორი წლის წინაც იყავი, მაგრამ მაშინ „აიაქსს" მაჩანჩალა „დერბი" ამჯობინე.**

— „აიაქსში" არ ვთამაშობდი და რა მეკეთებინა. ჰოლანდიელთა სკამს „დერბიში" თამაში მერჩია. „აიაქსიდანაც" კი მსურდა კარგ გუნდში გადასვლა, მაგრამ იმ დროისთვის მხოლოდ „დერბი" მიწვევდა.

**— მოდი, ერთხელაც გავიხსენოთ. „აიაქსში" მორტენ ოლსენი კი გათამაშებდა, მაგრამ შენ არ გქონდა ამის სურვილი.**

— მარცხენა ფლანგზე თამაშის სურვილი არ მქონდა. ჩემი თავის უკეთ ვიცი, გუნდისთვის უფრო სასარგებლო შუაში ვარ.

**— გამოდის, მწვრთნელის ბრალია შენი უთამაშებლობა? მორტენ ოლსენის გაწვრთნილი დანია კი აგერ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მშვენიერი გუნდია.**

— არა, არავის ვაბრალებ, ყველა მწვრთნელს თავის შეხედულება აქვს და შემადგენლობასაც ასე არჩევს. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ „აიაქსში" ჩემი საქმეები ვერ აეწყო. დანიას კი გეთანხმები, კარგი გუნდი ჰყავს.

**— როგორი მწვრთნელის გუნდში ყოფნა გსურს?**

— ყოველ შემთხვევაში ისეთის არა, რომელსაც კოლინ ტოდის მსგავსად დანიშნავენ და სამ თვეში მოხსნიან. მწვრთნელმა შენი შესაძლებლობები ბოლომდე უნდა შეაფასოს, თავის გამორჩენის შანსი მოგცეს და დანახვისთანავე სკამზე არ დაგსვას.

**— შენთვის კარგი მწვრთნელი რომელია?**

— ალან ბოლი, „სიტის" ყოფილი თავკაცი.

**— ალან ბოლის ხელში რომ თამაშობდი, ისე ან უკეთესად კიდევ ითამაშებდი?**

— რატომაც არა. მწვრთნელი და გუნდია მთავარი, მე კი თავს არ დავზოგავ და ძველებურ ფორმასაც დავიბრუნებ.

**— „სიტიში" დაბრუნებაზე უარს იტყოდი?**

— კიგანის გუნდში თამაშზე უარს, აბა, როგორ ვიტყვი. ჩინებული მწვრთნელია და მისი „ნიუკასლი" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. ახლაც, პრემიერლიგაში დაბრუნებული „სიტი", მგონია, რომ ხუთეულში მოხვდება. ისე, გასული სეზონის დაწყებამდე კი მიწვევდა კიგანი, მაგრამ უარი ვთქვი პირველ დივიზიონში თამაშზე. რას ვიფიქრებდი, „დერბი" თუ გავარდებოდა და „სიტი" პრემიერლიგაში დაბრუნდებოდა. მაშინ ჩემს ნაცვლად „სიტიმ" ებრაელი ბერკოვიჩი იყიდა.

**— სხვა ქვეყანაში თამაში არ გსურს?**

— მსურს, როგორ არა. სიამოვნებით გადავიდოდი ესპანეთში. უკვე ექვსი წელია, ინგლისში ვარ. 21 წლის ვიყავი და პირველი ქართველი, პრემიერლიგაში რომ ვთამაშობდი.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის ქომაგობ?**

— ვისაც ვქომაგობდი, უკვე შინ არის. წარმოუდგენელი რამ მოხდა — არგენტინა ჯგუფიდან ვერ გავიდა.

**— ფეხბურთელებიდან?**

— ფეხბურთელებიდანაც ერთი უკვე დაემშვიდობა ჩემპიონატს — ზიდანი. ახლა მეორეს ვქომაგობ — რონალდოს.

**— ჩემპიონი ვინ გახდება?**

— არგენტინა ჯგუფში ჩარჩა და...

**კობა ინასარიძე**



გიორგი ქინქლაძეს ნორმალურ გუნდში თამაში მოენატრა




ექვსი წლის შემდეგ პირველ ქართველ ინგლისელს „დერბისთან" და პრემიერლიგასთან განშორება სურს

### ფინეთი

X ტური

ალიანსი 1:0 იარო
ჰაამეენლინა 2:1 კუოპიო
ინტერი 1:0 ჰაკა
ლაჰტი 3:2 ჯაზი
მიუპა 0:0 ტამპერე
ვაასა 0:2 ჰიკ

საფეხბურთო კლუბი
ფოთის „კოლხეთი-1913"
თანაუგრძნობს „დინამოს"
ყოფილ ფეხბურთელს
ილია რუხაძეს შვილის
თორნიკე რუხაძის
გარდაცვალების გამო და
სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი
„ლოკომოტივი"
თანაუგრძნობს „დინამოს"
ყოფილ ფეხბურთელს
ილია რუხაძეს შვილის
თორნიკე რუხაძის
გარდაცვალების გამო

# 2002 NBA FINALS

## ლეიკერსი 4:0 ნიუ ჯერსი

# დიდების გუნდი

## ლეიკერსი, დედამიწასავით, სამ ვეშაპზე დგას



ძალიან კი უნდოდა კობი ბრაიანტს, ფინალის უძვირფასესი მოთამაშე გამხდარიყო, მაგრამ ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა ეს პრიზი კვლავ შაქილ ონილს არგუნა



ფილ ჯექსონმა „ლეიკერსი" ზედიზედ მესამედ აჩემპიონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 ივნისი

**ნიუ ჯერსი 107:113 ლეიკერსი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (13 ქულა, 12 პასი), კიტლზი (11),ვან ჰორნი (7), მარტინი (35 ქულა, 11 მოხსნა), მაკალოფი (8); ჰარისი (22), ჯეფერსონი (5), კოლინზი (4), უილიამსი (2), ჯონსონი, მარშალი

**ლეიკერსი:** ფიშერი (13), ბრაიანტი (25), ფოქსი (8), ჰორი (12), ონილი (34 ქულა, 10 მოხსნა); ჯორჯი (11), შოუ (6), უოლკერი (2), რიჩმონდი (2)

„პირველი აგურის დადება ყოველთვის ჭირს და ჩვენც დიდი ჯაფა დაგვადგა 2000 წელს „ინდიანასთან". შარშან „ფილადელფიასთან" შედარებით იოლად გამოვედით, ახლა კი, თქვენც ხედავთ, 4:2-სა და 4:1-ს 4:0 მოვაყოლეთ, ძალიან იოლად შემოვდეთ მესამე აგური. თუ პრეზიდენტს და ხალხს არ შეეშინდებათ, იმდენ აგურს დავდებთ, სასახლეს ავაშენებთ და შიგ მეფეებივით გამოვიჭიმებით" — თქვა შაკილ ონილმა მაშინ, როდესაც ახლად გაჩემპიონებულ ლოსანჯელესელთა ზეიმი და მხიარულება შედარებით განელდა და ემოციებჩამცხრალ შაკსაც ორი სიტყვის ერთმანეთზე გადაბმის უნარი დაუბრუნდა.

შაკი და კომპანია „ნიუ ჯერსის" დამარცხებას და ზედიზედ მესამე ჩემპიონობას ხარობდნენ. ძალიან იოლად კი გაიმარჯვეს და ამაში საკუთარ ძლევამოსილებასთან ერთად მეტოქის უსუსურობაც დაეხმარათ. ფინალური სერია ოთხ კი არა, რვა მოგებამდე რომ იმართებოდეს, „ნიუ ჯერსი", ალბათ, 0:8 წააგებდა „ლეიკერსთან".

4:0 ნბა-ს ფინალებში იშვიათი ანგარიშია, მანამდე სულ ექვსჯერ დაფიქსირებულა. „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ხშირად ყოფილა მწვერვალზე, დიდი მობურთალნიც უხვად ჰყოლია, მაგრამ ფინალებში მეტოქე მე-14 ცდიდან პირველად გაანადგურა. თავად „ლეიკერსი" სამჯერ გაუსწორებიათ მიწასთან. 0:4 ანგარიში ბოლოს 1995 წელს დაფიქსირდა, მაშინ „ჰიუსტონმა" „ორლანდო" დაიბრიყვა, სწორედ ის „ორლანდო", რომლის ლიდერიც ჯერაც დაულვინებელი, 24 წლის შაკილ ონილი გახლდათ.

დღეს შაკი თავადაა გამარჯვების მჭედი მანქანა და ამას თავადაც კარგად აცნობიერებს. ყველაზე მაგარი ვარო ამბობს, თან გულზე ხელს იბრაგუნებს. მაგრამ ნუ დავუკარგავთ და, ამ მთაკაცმა საკუთარი 155-კილოგრამიანი სხეულის მილმა, დაფნის გვირგვინის ფოთლებს შორის სხვაც დაინახა და სადაც თავისი თქვა, იქ სხვისიც არ დაივიწყა. „მე კარგად ვაცნობიერებ, რომ თუ არა ფილი, ჩვენ სამი კი არა, ერთი ჩემპიონობა არ გველირსებოდა. ფილი დიადი მწვრთნელია, ერთ-ერთი უდიდესი. საბედნიეროდ, ჩვენ შეგვწევს ძალა, ის უდიადესად ვაქციოთ და ამას მომავალ წელსვე ვიზამთ" — თქვა მან ამაგდარ მწვრთნელ ფილ ჯექსონზე, რომელიც შეგირდებთან ერთად ხარობდა ჩემპიონობას და ძვირფას კოსტიუმზე ისეთივე დოზით იპკურა სატრიუმფო შამპანური, რამდენიც მისმა შეგირდებმა ოფლით გაწებილ იისფერ-ყვითელ მაისურებზე.

შაკი უნამუსო კაცი არ ყოფილა, თავის სიტყვაში მწვრთნელიც მოიხსენია, კაცი, ურომლისოდაც ის „მხოლოდ" სუპერვარსკვლავი იყო, ახლა კი სამგზის ჩემპიონია. რაც შეეხება ჯექსონს, მისთვის ეს ტიტული მეცხრეა, რითაც იგი, ერთხელაც ვთქვათ, 60-იანი წლების ლეგენდარული „ბოსტონის" ლეგენდარულ მწვრთნელ რედ აუერბახს წამოეწია. შაკს ჯაჯღანა კაცის იმიჯი აქვს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავისი თინეიჯერული იმიჯის ქვეშ კეთილი გული უცემს. იგი კიდევ ერთი ფინალის მოგებას აპირებს, რათა ამაგდარი მწვრთნელი განადიდოს. მართალია, შაკს აქ პირადი ინტერესიც აქვს, მაგრამ მოდით, ამას ყურადღებას ნუ მივაქცევთ. ისე, ონილს ამას წინათ, „ნიუ ჯერსის" საბოლოო გათელვამდე, უთქვამს, ეს ფინალი ხომ მოგებული გვაქვს და მე უკვე მომავალზე ვფიქრობო.

თურმე შაკი უარს არ იტყოდა, კარიერა ასე ექვსი-შვიდი ჩემპიონობით დაესრულებინა, რითაც საკუთარ ყოვლისშემძლე პიროვნებას ისტორიაში ნბა-ს ყველა დროის უდიადესთა შორის ჩაწერდა. ისე, სამი ტიტულის მქონესაც დიადთა იერარქიულ კიბეზე საპატიო ადგილს ანიჭებენ ჯერ თანამემამულე ჟურნალისტები და შემდეგ, მათზე დაყრდნობით, სხვებიც.

დიახ, შაკი პირველი კაცია ფილ ჯექსონის შეგირდთა შორის. სწორედ ის და არა კობი ბრაიანტი. ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედაც ის დაასახელეს და არა მისი ჯან-ღონის პატივისმცემელი და ამავდროულად ფარული მოქიშპე კობი ბრაიანტი. შაკი კობიზე მეტად იმსახურებდა ამ ტიტულს, თუნდაც „ნიუ ჯერსის" წინააღმდეგ მოხვეჭილი ქულა-მოხსნების სიმრავლის გამო. ის მეოთხე მატჩშიც იოლად ასცდა 30-ქულიან თამასას, 34 შეუგროვდა და ოთხ მატჩში საშუალოდ 36 ქულაზე ცოტა მეტი გამოუვიდა. კობი სამთავა გველეშაპის მესამე თავია. იგი ეშხიანად მობურთალი ჯეელია, ოთხივე თამაშში ბლომად თავსატკივარი გაუჩინა ჯეისონ კიდხსა და მის დამქაშებს და ლაღი ბურთაობით პირად ქომაგებთან ერთად გულშემატკივართა ობიექტური ნაწილიც ასიამოვნა, თუმც როცა ქულების დათვლაზე მიდგა საქმე, დიდშაკს მნიშვნელოვნად ჩამორჩა. ასე რომ, ნბა-ს პატრიარქმა დევიდ შტერნმა შაკილ ონილს მოუბოძა ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის წოდება.

შაკი ზედიზედ მესამედ დაეპატრონა ამ ჯილდოს და შესწვდა მაიკლ ჯორდანის რეკორდს. ეგაა, ჯორდანს მიყოლებით სამჯერ თავისი კარიერის ორ მონაკვეთში ალუმართავს ეს ოქროსფერ-მონუმენტური პრიზი — 1991-93 და 1996-98 წლებში. ფინალებში უყოჩაღესად ასევე სამჯერ დაუსახელებიათ ექსლეიკერსელი ჯადოქარი მეჯიქ ჯონსონიც, მხოლოდ არა ზედიზედ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ნბა-ს ისტორიაში ესაა მეხუთე შემთხვევა, როდესაც ერთი გუნდი ზედიზედ მესამედ ხდება ჩემპიონი. ამ ხუთი სამმაგი ზეობიდან სამის შემოქმედი კი, მიხვდებით, ფილ ჯექსონია, 90-იან წლებში „ჩიკაგოს" ექვსჯერ გამპირველებელი, ხოლო 2000-იანებში აგერ, „ლეიკერსის" მწვერვალზე დამბრუნებელი დიადი კაცი. „ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ასეთი კაცი გვყავს მწვრთნელად. იგი საუკეთესოა, იგი გამარჯვების გარანტიაა" — თქვა შამპანურით გაწუწულმა კობი ბრაიანტმა.

ხარობს სრულიად ლოს ანჯელესიც, საოცარი მეგაპოლისიც, რომლის შვილებმაც სამი ათასი კილომეტრის მოშორებით ნიუ იორკის გარეუბან ისტ რეზერფორდში მე-14 ჩემპიონობა გამოჭედეს. ანგელოზთა გადარეული ქალაქისთვისაც კი განსაკუთრებული დღეა „ლეიკერსის" ჩემპიონობა და ეს რომ ასეა, ქალაქის ყველაზე მშფოთვარე ბინადართა სიხარულის აგრესიული გამოხატულებიდანაც ჩანს.

„ლეიკერსის" ყველაზე თავგამოდებულმა ფანებმა ამ დღის აღსანიშნავად ქალაქს თავიანთი მავნე ხელი დაატყვეს და მსახვრალი პოლიციის ყურადღებაც დაიმსახურეს. ეგაა, კაცი ყველაფერს ეჩვევა და „ლეიკერსის" ჩემპიონობით „მოყირჭებულ" ქალაქს იმდენად არ უზარალია, რამდენადაც ორი წლის წინ, 2000 წელს.

**ირაკლი ფირცხალავა**



შაქილის ასული დიდ მამიკოს აუტატებია



კობი ბრაიანტს უხვად ეპკურა ტრიუმფალური შამპანური. ალალიც იყო!



ანგელოზთა ქალაქი გიჟურმა თავდავიწყებამ წალეკა



ოთხი წლის ოლიმპიელი ვლადიმერ ბოისა
როგორც იქნა, სლოვენიის ჩემპიონი გახდა

# ოლიმპია ნისიაზე ცხოვრობს

## ვლადიმერ ბოისა უხელფასო ჩემპიონია

**წლევანდელი** სეზონი ქართველ ლეგიონერებში ყველაზე წარმატებული ვლადიმერ ბოისასთვის გამოდგა — მან ლიუბლიანის „ოლიმპიაში" მესამე და მთავარი ტიტული მოიპოვა — სლოვენიის ჩემპიონი გახდა.

აქამდე „ოლიმპიამ" სლოვენიის თასი და ადრიატიკის ლიგა მოიგო. ამ უკანასკნელში ლიუბლიანელებმა ყოფილი იუგოსლავიის წამყვან კლუბებს აჯობეს, ოთხშაბათს კი სლოვენიაშიც იზეიმეს პირველობა.

ჩემპიონობის მოცილედ ოლიმპიელებს ნოვო მესტოს „კრკა" ჰყავდათ. „კრკა" ის გუნდია, „ოლიმპიას" ჰეგემონია სლოვენიის ჩემპიონატში ორი წლის წინ რომ დაამხო, თუმც შარშან და წლეულს ამაოდ დაშვრა. „ოლიმპიამ" ოქრო სულ რიხინ-რიხინით მოიგო.

ჩემპიონთა მწვრთნელ ზმაგო საგადინის ფინალურ სერიაში (არც მანამდე) სანერვიულო არა ჰქონია, „ოლიმპიამ" სამივე მატჩში იოლად დაჯაბნა მეტოქე. ბოლო ორი შეხვედრა განსაკუთრებით სამარცხვინო იყო ნოვომესტოელთათვის. მათ ჯერ შინ 59:70 წააგეს, შემდეგ ლიუბლიანაში შერცხვნენ — 58:83. უნდა აღინიშნოს, რომ იუგოსლავიისგან გამოყოფის შემდეგ სლოვენიაში თერთმეტი ჩემპიონატი ჩატარდა და „ოლიმპიამ" ათჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

„ოლიმპიასთვის" წლევანდელი სეზონი ყველაზე წარმატებული იყო. ყოველ შემთხვევაში, ციფრები ამაზე მეტყველებს. ბოისას გუნდმა სლოვენიის ჩემპიონობა და თასი ისე მოიგო, თამაში არ წაუგია. ამას დავუმატოთ ადრიატიკის ლიგა, რომელშიც ოლიმპიელებმა 24-დან 22 მატჩში იმარჯვეს და ამ შედეგს ვერც ზმაგო საგადინის გუნდის წლევანდელი საევროლიგო მონაგარი გააფერმკრთალებს, სადაც „ოლიმპიამ" 10 შეხვედრა მოიგო და ამდენივეში დამარცხდა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ოლიმპიელებმა ყველაფერ ამას დიდი ფინანსური სიდუხჭირის ფონზე მიაღწიეს, რის შესახებაც ადრეც ვწერდით. „ოლიმპიას" ვალების გამო საბანკო სახსრები გაყინული აქვს და კალათბურთელებს ექვს თვეზე მეტია, ხელფასი არ მიუღიათ. როცა გუშინ ბოისას ჩემპიონობის მისალოცად ლიუბლიანაში დავუკავშირდით, ამ თემაზეც ვესაუბრეთ.

**— მეოთხე წელია, „ოლიმპიას" ეკუთვნი, თუმც სლოვენიის ჩემპიონი პირველად გახდი...**

— „ოლიმპიას" განათხოვრებული ვყავდი და ძალიან გახარებული ვარ, ჩემს გუნდში აყვანას ასეთი წარმატებული სეზონი რომ მოჰყვა.

**— ისე ამ გამარჯვებას თითქოს ეშხი აკლია, ჩემპიონატი ხომ იოლად მოიგეთ...**

— მართლაც ასეა. ჩემპიონატი ისე მოვიგეთ, მარცხი არ გვინახავს. გვეგონა, „კრკა" ფინალში წინააღმდეგობას გაგვიწევდა, თუმც რაც გამოუვიდათ, კარგად გამოჩნდა.

**— შენ ერთ-ერთი აქტიური იყავი ფინალურ სერიაში...**

— წლეულს ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. სლოვენიის საუკეთესო გუნდის ძირითადში მოვხვდი, შემდეგ ხუთეულშიც მოვიპოვე ადგილი. ფინალური სერიის ბოლო ორ მატჩში კი, ვფიქრობ, ჩემი საუკეთესო თამაში ვაჩვენე. მწვრთნელმა 25-25 წუთი მათამაშა და ერთში 8, მეორეში კი 11 ქულა მოვიპოვე. ადრეც მითქვამს, აქცენტს დაცვაზე ვაკეთებ-მეთქი და ამის გათვალისწინებით, ეს შედეგი ურიგო არ უნდა იყოს.

**— ჩემპიონობა ხმაურიანად აღნიშნეთ?**

— არაფერი განსაკუთრებული, ყველაფერი ჩვეულებრივ მოხდა. ოქროს მედლებით დაგვაჯილდოვეს და ეგ იყო. ვფიქრობ, უფრო დიდი ხმაური მაშინ იქნებოდა, ჩემპიონობა რომ დაგვეთმო. ადრეც ხომ არაერთხელ მითქვამს, ჩემპიონობა განაღდებული გვაქვს-მეთქი.

**— საოცარი ისაა, რომ ყველაფერ ამას გაკოტრების პირას მყოფებმა მიაღწიეთ...**

— ეგ მართალია. ნახევარი წელია, კაპიკი არ აგვიღია და აქედან კარგად ჩანს, თუ რა ერთსულოვანი გუნდია „ოლიმპია". ბიჭებმა ვთქვით და საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. არავის გულში არ გაუვლია, კლუბის ხელმძღვანელობას შედავებოდა, კონტრაქტი ხომ პრაქტიკულად დაირღვა.

**— ჩემპიონობა, ალბათ, სასიკეთოდ წაადგება „ოლიმპიას" მომავალს.**

— გუნდმა ყველა დაპირება შეასრულა. ევროლიგის გარდა, სადაც ვიასპარეზეთ, ყველგან გავიმარჯვეთ და ახლა სიტყვა ჩვენს სპონსორებზეა. სწორედ დღეს გვაქვს შეკრება გუნდის ხელმძღვანელობას, სპონსორებსა და კალათბურთელებს. ვფიქრობ, ამ კვირაში გაირკვევა ყველაფერი — ხელფასების, მწვრთნელისა და ფინანსური პარტნიორების საკითხები.

**— საქართველოში როდის ჩამოხვალ?**

— დღესაც შემიძლია წამოსვლა, მაგრამ როგორც ყველა სხვა, მეც ამ შეხვედრას ველოდები. იმედი მაქვს, საქმე სასიკეთოდ შემოტრიალდება.

**— შენსა და „ოლიმპიას" ურთიერთობაში რამე ხომ არ შეიცვლება?**

— არა. კიდევ ერთი წელი ამ გუნდს ვეკუთვნი და ფინანსურადაც რომ ვერ მომძლავრდეს, სხვაგან წასვლას მაინც აქ მიჯობს თამაში.

**ირაკლი ბერტაია**



# ივარჯიშეთ სამოთხეში შესასვლელად

## მთელი საჩოგნეთი ძილშიც და ღვიძილშიც უიმბლდონს ხედავს

**STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**
ლონდონი. ბალახი
საპრიზო 800 ათასი $

**მეორე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — მერდი ფიში (აშშ) 7:5, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (2, ბრიტანეთი) — ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:6 (7:4); **მაიკლ რასელი** (აშშ) — ტომას ენკვისტი (3, შვედეთი) 6:3, 7:5; **რაიმონ სლოიტერი** (ჰოლანდია) — მაქს მირნი (4, ბელარუსი) 7:6 (11:9), 6:3; **სხენგ შალკენი** (5, ჰოლანდია) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:2; **ვინს სპადეა** (აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (7, აშშ) 6:3, 6:4; **ტოდ მარტინი** (9, აშშ) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:3, 6:3; **უეინ ფერეირა** (10, სამხრეთ აფრიკა) — ოლ ელსნეერი (ბელგია) 6:4, 6:7 (6:8), 6:4; **ჟან-მაიკლ გემბილი** (12, აშშ) — მაიკ ბრაიანი (აშშ) 6:3, 6:4; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — ადრიან ვოინეა (13, რუმინეთი) 6:2, 6:4; **ოლივიე როშუ** (14, ბელგია) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:4, 6:0; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — მარკ როსე (შვეიცარია) 4:6, 7:5, 6:4; **უეინ ართურსი** (ავსტრალია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:2, 6:3

შარშანდელმა ჩემპიონმა და ტურნირზე სეიჩოგნის მჭნეველმა ლეიტონ ჰიუიტმა ამერიკელ მერდი ფიშს თავისი უპირატესობა პირველი ჩაწოდებიდან 80 წუთის თავზე დაუმტკიცა. თუმცა თამაში სადღაბუცო სულაც არ იყო — 21 წლის ავსტრალიელს მეტოქის უძლიერესი შეტევების მოგერიება უხდებოდა და ამას ისე შთამბეჭდავად აკეთებდა, რომ მაცქერალი იქით იყოს, ტაში და ყიჟინა რამდენჯერმე თავად ფიშსაც დასცხო.

ნამატჩევს ლეიტონი, ვინაც ტიტულის შენარჩუნების შემთხვევაში ჯონ მაკინროის შემდეგ ქუინზ-კლაბის ზედიზედ სამჯერ მაოხარი მეორე მჩოგნე გახდება, აი, ეგეთ რამეებს იძახდა:

„აქ ბევრი დიდი შეხვედრა მომიგია. ამ კორტს ჩემი რამდენიმე საუკეთესო მატჩი ახსოვს. როცა აქ გამოვდივარ სათამაშოდ, ვცდილობ, შესაძლებლობათა ზღვარზე გავირჯე... მაშინ ჩემი დამარცხება მართლაც ძნელია ხოლმე".

ამ ძნელი ამოცანის გადაწყვეტას მომდევნო წრეში ბელგიელი ოლივიე როშუ ეცდება, რომელმაც ებრაელ ჰარელ ლევის იმ დღეს მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო...

სხვაფრივ — პირველივე შეხლების მერე ხუთი შინაური მოთამაშის მომსაკლისებელ ბრიტანელ ქომაგებს (და ტურნირის 24-წლიან ისტორიაში მასპინძელთა ასეთი ლიანგური საპირველმატჩებო ჩაფლავება აქამდე არასოდეს მომხდარიყო) ხასიათი მეორე ნომრად განთესილმა ტიმ ჰენმანმა გამოუკეთა. ოღონდ ეგ იყო, უსახელო სამხრეთაფრიკელის ნევილ გოდვინის გაიმასქნება ჰენმანს მაინცდამაინც დამაჯერებლად არ გამოსვლია.

„ჩემგან სასწაულ თამაშს თავადაც არ ველოდი — ამბობდა მერე — წელს პირველად „ვიბალახე" და ამიტომ ბევრი რამე ჯერ კიდევ დასახვეწი მაქვს. დარწმუნებული ვარ, მერე და მერე ყველაფერი უკეთ იქნება".

ჰენმანისგან განსხვავებით საუიმბლდონო მზადება უმალვე წაემურდლათ შვედ ტომას ენკვისტსა (3) და ბელარუს მაქს მირნის (4). პირველმა ამერიკელ ყრმა მაიკლ რასელთან წაიბორძიკა, მეორემ კი ნიდერლანდელ რაიმონ სლოიტერთან. დამარცხდა მეშვიდე ნომრად განთესილი ამერიკელი ჯეიმს ბლეიკიც, რომელიც თვისტომმა ვინს სპადეამ შეიწირა.

სამაგიეროდ, მესამე წრისკენ გზა გაიკაფა და იქ ოდინდელ ჩემპიონ მარკ ფილიპუსისს დაეჯახება თავადვე ოდინდელი პირველოსანი უეინ ფერეირა. ჭარმაგი სამხრეთაფრიკელი ბელგიელ ნაკვალოფოკაცოვე ქოლ ელსნეერს გასცდა.

**EDGBASTON OPEN**
ბირმინგემი. ბალახი
საპრიზო 170 ათასი $

**პირველი წრე**

**რიტა გრანდე** (12, იტალია) — ირინა სელიუტინა (ყაზახეთი) 6:2, 6:4; **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) — ადრიანა სერა ძანეტი (15, იტალია) 6:3, 1:6, 6:4

**მეორე წრე**

**ელენა დოკიჩი** (1, იუგოსლავია) — ლუსი ელი (ბრიტანეთი) 7:6 (7:4), 6:4; **სანდრინ ტესტუ** (2, საფრანგეთი) — ინა კანდარი (გერმანია) 6:1, 6:3; **მაგდალენა მალეევა** (3, ბულგარეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:2, 7:5; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (4, ტაილანდი) 2:6, 6:4, 6:2; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — ტატიანა პანოვა (5, რუსეთი) 6:4, 6:2; **ანასტასია მისკინა** (6, რუსეთი) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:2, 7:5; **ანე კრემერი** (7, ლუქსემბურგი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:4, 7:5; **ლაიზა რეიმონდი** (8, აშშ) — ელენა ტატარკოვა (უკრაინა) 6:3, 6:4; **ალექსანდრა სტივენსონი** (10, აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:3, 6:4; **აი სუგიამა** (11, იაპონია) — გრეტა არნი (გერმანია) 6:4, 6:2; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — რიტა გრანდე (12, იტალია) 4:6, 6:4, 6:0; **ჯული პულენი** (ბრიტანეთი) — მაგი სერნა (13, ესპანეთი) 6:4, 6:2; **ნიკოლ პრატი** (14, ავსტრალია) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:4, 6:2; **ელენა ლიხოვცევა** (16, რუსეთი) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:2, 6:4; **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) — ჯეონ მი-რა (სამხრეთ კორეა) 6:4, 6:4

19 წლის მომხიბლავი იუგოგო ელენა დოკიჩი, რომელიც ამ ტურნირზე ნომერ პირველ ჩოგანს აქნევს, 1999 და 2001 წლებში პირველივე წრიდან გაებუნძურებინათ. ამიტომაც იყო, უსახელო ბრიტანელ ლუსი ელისთან თამაშის წინ საშინლად რომ უნერვიულია. მეგონა, დღესაც წავაგებდიო, იძახდა მერე.

არადა, საქმე იმაზე გაცილებით იოლი შესასრულებელი გამოდგა, ვიდრე ეს ელენას ეგონა. და რადგანაც ბევრი აქ სალაპარაკო არც არაფერი იყო, პირდაპირ მეორე ამბავზე გადავიდეთ.

ეს ამბავი კლარისა ფერნანდესს, წონოლა არგენტინელ გოგოს ეხება, ვისი სახელიცა და გვარიც ჩვენს კლავიატურაზე პირველად როლან გაროსზე ჩაუქი თამაშისა და ნახევარფინალამდე (!) გაღწევის მერე აიკრიფა (პარიზში იგი მხოლოდ ვინუს უილიამსთან დამარცხდა).

იმ დღეს კლარისას ერთბაშად ორი მატჩის გამართვა მოუხდა — მიზეზი საწინადღეო ავდარი იყო — და მანაც დიდებულად გაართვა თავი ამდენ ჯაფას. ჯერ მე-15 ნომრად განთესილი ადრიანა სერა-ძანეტი აოტა, მერე კი ვინმე კორეელი მი-რა, მსოფლიოში ოდენ 170-ე საფეხური რომ უპყრია.

**GERRY WEBER OPEN**
ჰალე. ბალახი
საპრიზო 800 ათასი $

**პირველი წრე**

**მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ფაბრის სანტორო (8, საფრანგეთი) 6:0, 7:6 (8:6)

**მეორე წრე**

**ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:3, 7:5; **ტომას იოჰანსონი** (3, შვედეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:4; **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:2, 6:7 (2:7), 7:5

პიტ სამპრასისა არ იყოს, ევგენი კაფელნიკოვმაც უბადრუკი სათიხნარე სეზონი ჩაატარა და დიადი ამერიკელის დარად რეაბილიტირებას იგიც ბალახსაფარზე აპირებს. საჰალეო პირველი ორი შეხვედრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჟენიას ეგებ მართლაც რამე გამოუვიდეს.

ყოველ შემთხვევაში, უსახელო ფრანგ სირილ სოლნიეს ძლევა ჰალეს 1997 და 1998 წლების ჩემპიონმა მცირე ძალისხმევით მოახერხა.

„ახლა მხოლოდ თავდაჯერება მაკლია — საუბრობდა იგი ნამატჩევს — ასეთი წარუმატებელი თიხნარობის მერე ეს გასაკვირი სულაც არ არის. ამიტომაც ყოველ გამარჯვებას ჩემთვის ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუკი რამეს ჩემთვის თავდაჯერების დაბრუნება შეუძლია, ეგ მხოლოდ მატჩების მოგებაა. თუმცა უიმბლდონზე სულ ნირწამხდარიც რომ ჩახვიდე, ისეთ საოცარ ბლონდებში გაგხვევს, ხალისი და ჟინი თავისდავად მოგეძალება"...

კაფელნიკოვი ჰალეს ტურნირის დიდი ქომაგია. სხვა თუ არაფერი, მას აქაური საჩოგნეთის მოძრავი სახურავი ხიბლავს, რაიც — ამ დროისთვის დამახასიათებელ კათხისპირულ წვიმებს თუ გავითვალისწინებთ — მეჩოგნეთათვის პირდაპირ მისწრება გახლავთ.

„რა ცუდი ამინდიც უნდა იყოს, განრიგი არ დაირღვევა — გითხრეს, ოთხშაბათს ითამაშებო, ჰოდა, ითამაშებ კიდეც".

ნალექი კი იმ დღესაც ბარაქიანად მოვიდა. ოღონდ ეს უკვე შარშანდელი ჩემპიონის, ტომას იოჰანსონისა და ხორვატი ივან ლიუბიჩიჩის თამაშის დროს მოხდა.

შვედს ხორვატის დაურვება არ გასჭირვებია და ნამატჩევს მხოლოდ იმას ინაღვლიდა, რომ პირველი წრის მსგავსად ის ამჯერადაც არა მთავარ, არამედ ერთ-ერთ სამარქაფო კორტზე გასარჯეს.

ხოლო, რაკიღა მოგვიანებით ტურნირის დირექტორის ოფიციალური ბოდიშიც მიიღო, ხასიათზე მოვიდა და საჯაროდ განაცხადა, რომ მისი უმთავრესი მიზანი უიმბლდონის მოგებაა.

წლევანდელი მეავსტრალიესგან ამგვარი კადნიერი განცხადება ალბათ დასათმენი უნდა იყოს.

**ლევან ძილაურაძე**



REUTERS

მშობლიური უიმბლდონის წინ ტიმ ჰენმანმა ბალახი პირველად მოსინჯა

## ევროპის პირადი ჩემპიონატი
## ვაჟები. ბათუმი



მაია ჩიბურდანიძემ გამარჯვებით დაიწყო

# სიფთა ტურის ქრონიკა

**დაიწყო:** ბათუმის ჭადრაკის სასახლეში 114-მა მოჭადრაკემ ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის პირველი ტური გაითამაშა. იყო 115-ეც, მაგრამ მას კონტობის გამო ავტომატურად ქულა მიართვეს.

ქართული თვალსაწიერიდან სტარტი არც გადასარევი იყო, არც შემალონებელი. ჩვენებიდან ვიეთთამე მოიგეს, ვიეთთამე-წააგეს და ზოგიერთს ყაიმზეც არ უთქვამს უარი. ყველაზე ძნელი მეტოქე მერაბ გაგუნაშვილს შეხვდა, რომელმაც მერე რა, რომ თეთრი ფიგურები ალექსეი ალექსანდროვის წინააღმდეგ გააწყო. ბელარუსი დიდოსტატი 2654 რეიტინგული ქულის პატრონია და ამ პარამეტრით ბათუმში მხოლოდ კონტინენტის მოქმედ ჩემპიონს, ემილ სუტოვსკის ჩამორჩება. პარტიის დასაწყისში ლაზიერის ფრთაზე ქართველის პაიკთა სტრუქტურა შეირყვნა, მაგრამ გაგუნაშვილმა პოზიციის კონსოლიდაცია შეძლო და შავ მეფესაც ჯიქურ შეუტია. ბელარუსმა წარმატებით მოიგერია იერიში. ხოლო მერე, დაფაზე ფიგურებიდან მხოლოდ ლაზიერები რომ დარჩნენ, ალექსანდროვს ზედმეტი პაიკი ჰყავდა და მის რეალიზებას ბეჯითად შეუდგა. ლაზიერის ენდშპილში ყაიმის შანსი ყოველთვის მეტია და გაგუნაშვილმაც თავისი დედოფლის ბატარეები ისე უნარიანად განალაგა, რომ მთელ დაფას აკონტროლებდა. შავი მეფე 67-ე სვლამდე ტყუილად ცდილობდა ოპერატიულ სივრცეზე გასვლას და სასარგებლო სამუშაოს შესრულებას, მერე კი მხარეებმა თეთრი ბაირაღები აღმართეს.

დავით შენგელია შეხვდა დელიში ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ ბარტოლომეი მაჩეიხას და „მოუხაზა". ჩემპიონატის მე-16 ნომერი პოლონელი ეტლების ენდშპილში ორპაიკნაკლული შევიდა და ქართველს ქულის მოსაპოვებლად მხოლოდ ტექნიკის დემონსტრირება დასჭირდა. იგივე ტიპის ენდშპილი აღმოცენდა ქართულ პარტიაში: პლანეტის გამოცდილმა ექსჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ შავებით აჯობა 15 წლის მალხაზ სულაშვილს და საერთოდ, პირველ ტურში კიდევ ბარე ორი ქართული დერბი შედგა: ბათუმში მოთამაშე 115 ტალანტიდან 23 ქართველია. ამათგან რეიტინგქულებით პირველობს გიორგი ყაჭეიშვილი, რომელმაც პირველ ტურში გამოიჭირა ელო-კოეფიციენტით არცთუ არიფი სლოვაკი, ვიტესლავ პრიეხოდა და 25 სვლაში აუგო წესი. ყაჭეიშვილმა მეტოქეს (საერთაშორისო ოსტატს) ელემენტარულად ფიგურა მოუგო და წინააღმდეგობის ძარღვი გაუწყვიტა.

ეს დღეები გადარბენაზე იყო ევროპის ყოფილი ჩემპიონი, ნატალია ჟუკოვა. უკრაინელმა ჯერ ვარნაში თანამოსქესეთა ჩემპიონატზე ითამაშა დამაკმაყოფილებლად, მერე კი საჩქაროდ შავი ზღვა გადმოლახა და ახლა ძლიერებს დაეტაკა. ვერ ვიტყვით, რომ უფხოდ: ჟუკოვამ პირველ ტურში ძლიერ და ცნობილ დიდოსტატად ხმობილი ესტი, იან ელვესტი გააწბილა.

**დავით ბულუა**

### I ტური
### ქართველ მოჭადრაკეთა შედეგები

მერაბ გაგუნაშვილი — ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი) 0,5-0,5; ალექსეი ფიოდოროვი (ბელარუსი) — გიორგი ბაღათუროვი 0,5-0,5; კარენ არსიანი (სომხეთი) — დავით არუთუნიანი 1-0; გიორგი ყაჭეიშვილი — ვიატესლავ პრიეხოდა (სლოვაკეთი) 1-0; დავით შენგელია — ბარტოლომეი მაჩეიხა (პოლონეთი) 1-0; კონსტანტინე შანავა — შარუნას შულსკისი (ლიტვა) 0-1; ლევონ არონიანი (სომხეთი) — ანა მათნაძე 1-0; ალექსანდრ გალკინი (რუსეთი) — ლევან აროშიძე 1-0; ბაადურ ჯობავა — აზიფ ჰასანოვი (აზერბაიჯანი) 1-0; სასან დოვლიატოვი (აზერბაიჯანი) — ზურაბ სტურუა 0,5-0,5; ემრე ყარადენიცი (თურქეთი) — ზვიად იზორია 0-1; ჯამბულ მახარაძე — თამაზ გელაშვილი 0,5-0,5; მიხეილ მჭედლიშვილი — არნოლდ ესინგი (გერმანია) 1-0; გაბრიელ სარქისიანი (სომხეთი) — დავით ურუშაძე 1-0; ვადიმ მალახატკო (უკრაინა) — მიხეილ ქანთარია 1-0; მალხაზ სულაშვილი — მაია ჩიბურდანიძე 0-1; ზვიჩა სუპატაშვილი — ზვიად ქამადაძე 0,5-0,5; ბაჩანა მორჩიაშვილი — ვლადიმირ პოტკინი (რუსეთი) 0-1; ჯავად მალერამზადე (აზერბაიჯანი) — დავით მაღალაშვილი 0,5-0,5; მიხეილ კეკელიძე — აიდინ დუმანი (თურქეთი) 1-0; ივერი ჭილაძე — ვალერიან გაფრინდაშვილი 0-1; იგორ იაგუპოვი (რუსეთი) — დავით ჯოჯუა 1-0



# მარიონ ჯონსი: ხალხი მენატრება. ხალხს თუ ვენატრები?

**სამრეწველო** ქალაქმა ოსტრავამ, რომელიც პოლონეთის საზღვართან, ჩეხეთის მორავიაში მდებარეობს, „ოქროს ქალების" სერიის ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა. სიყალბე იქნება იმის თქმა, რომ 300 ათასი ქალაქელიდან უმრავლესობა მივიდა ვიტკოვიცეს სტადიონზე, რადგან ამინდი არ დაეტეოდა და თან მძლეოსნობა სულაც არ არის ჩეხთა ნომერ პირველი სპორტი.

მაგრამ ჩეხებს ჰყავთ ოლიმპიადების მპყრობი მეშუბე იან ჟელეზნი, ათჭიდის რეკორდსმენები ტომაშ დვორჟაკი და რომან სერბლე, ამიტომ ტურნირის საყურებლად მაინც ბლომად ხალხი მოგროვდა. საზოგადოებას ძლიერ უნდოდა თავისი კერპების, ხოლო ამათზე არანაკლებად — მარიონ ჯონსის ჭვრეტა. დიდალი შავი ავაზა ოსტრავას 200 მეტრის სარბენად ეწვია და მსუბუქ პირქარში ყველას გაუსწრო. ჯონსის 22,32 წამი სეზონის რეკორდად გაფორმდა, თუმცა სეზონი მხოლოდ დაიწყო და ამ რეზულტატს თვით ჯონსი და იქნებ სხვებიც ჯერ კიდევ არაერთ მესხედს ჩამოაკლებენ.

რაღაც საუბრები ყოფილა, თითქოს ჯონსი მომავალი სეზონიდან დასვენებას აპირებს, რამაც ჩეხი ჟურნალისტების ინტერესიც ბუნებრივად გამოიწვია. ათასობით ხელის ბარტყუნის ფონზე ჯონსმა განაცხადა, არსად წავალ, თუ ხალხს არ მობეზრდება ჩემი ყურებაო.





REUTERS ოსტრავიდან

მარიონ ჯონსს სირბილი ჯერ არ მობეზრებია

ჯონსი ყველა ტურნირზე გმირი და გამორჩეული ფიგურაა, მაგრამ კონკრეტულად ოსტრავაში მასზე მეტი საქმე ბელარუსმა ალეზია ტუროვამ გააკეთა: დაამყარა ქალთა სტიპლჩეიზის მსოფლიო რეკორდი.

ტუროვა გახლავთ ევროპის დარბაზული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, რომელსაც ჯანი-გამძლეობა მოჰმატებია და ისე აწყვეტით რბოდა და ხტუნაობდა ოსტრავაში, მეტოქეებმა თავიდანვე ფეხები ჩამოყარეს. კერძოდ, კილომეტრიან ნიშნულთან ტუროვა მდევარს 40 მეტრით სჯობნიდა, ფინიშზე კი 9.21,71-ით გადაირბინა. თუ მიწისძვრა არ იქნა, ამ შედეგს მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია (იააფ) ახალ მსოფლიოს რეკორდად გააფორმებს.

ნახსენებმა ჟელეზნიმ თვისტომ ქომაგებს არ აწყენინა და შუბი ბეჯითად გააფრინა. ჟელეზნის ინსტრუმენტი ჯერ 85,36 მეტრის ნიშნულზე დაერჭო, მაგრამ აქ გამოხტა ესტონელი ანდრუს ვარნიკი და შუბი 11 სანტიმეტრით შორს გასტყორცნა. ბრაზმორეულმა ჟელეზნიმ ერთხელაც მოიქნია ერთგული საგანი და 86,66-ით აღადგინა სტატუს კვო.

და კიდევ: მაყურებელთა მოწონების ხმაური ერგო ვაჟთა სტიპლჩეიზს, სადაც ორმა ცნობილმა პერსონამ ჯგროს 16 წამის სავალზე გაუსწრო და პირველობისთვის ბოლომდე იბრძოლა. მაროკოელი არაბი ბრაჰიმ ბულამი ოსტრავას მტკიცე განზრახვით ეწვია, 8 წუთზე ნაკლები უნდა დავხარჯო მთელი ამ რბენა-ხტუნვისთვისო, მაგრამ სურვილი ერთია... ბულამი ლიდერობდა გზის უმეტეს ნაწილზე და ფინიშამდე ოთხი წრით ადრე ეულად გაქცევაც მოსინჯა, მაგრამ კენიელმა უილსონ ბოიტ კიპკეტერმა კარგად შეასრულა აჩრდილის ფუნქცია და დასკვნით წრეზე კი მზე მორბენალთა ფრონტიდან ზურგისკენ გადაიხარა: აჩრდილი წინ გაიჭრა. ბოიტ კიპკეტერის შტურმზე ბულამის გადამწყვეტი რეაქცია არ ჰქონია და ფინიშიც ჯერ შავმა გადალახა, მერე — შავგვრემანმა.

**დავით ბულუა**



# ლომუ ცისფერებს დაერია



REUTERS ჰამილტონიდან

ჯონა ლომუმ იტალიელები დააჩოქა

### ახალი ზელანდია 64:10 იტალია

ჰამილტონის „ვაიკატოს" სტადიონზე გამართულ ტესტმატჩში მასპინძელმა ახალმა ზელანდიამ იოლად მოუგო მოკრძალებულ მეტოქეს, მაგრამ ამ უქმეებზე ირლანდიასთან გასამართი ტესტისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა.

პირველი ტაიმის მიწურულს ახალზელანდიელი სტივ გიბსონი იტალიელ სტეფანო მაზარიოლს დაეჯახა და მოედანზე უგონოდ დაემხო. გიბსონი მოასულიერეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს, სადაც ტვინის შერყევა დაუდგინეს.

მაზარიოლი 11-კვირიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, რაკი შეჯახებისას გიბსონისთვის იდაყვი განზრახ ჩაურტყამს, რაც მსაჯებს კი გამორჩათ, მაგრამ ვიდეორეფერიმ ყველაფერი დააფიქსირა.

ამ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, მატჩმა განსაკუთრებული უხეშობის გარეშე ჩაიარა და მთაკაც ჯონა ლომუს ბენეფისად იქცა. „ოლ ბლექსის" მთავარმცელელოვემ თავისი მარჯვენა ფრთა აიკლო და „სკუადრა აძურას" ოთხი ლელო გაუტანა.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა







REUTERS ბანგკოკიდან

# წამსვლელ-დამრჩენი



REUTERS ოსაკადან



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

საფეხბურთოდ მოხატული რიო დე ჟანეიროს თვალიერება ეგებ მოგწყინდათ კიდეც, მაგრამ კედლებზე ნახატები არ ილევა და თქვენც კარიკატურებზე ფეხბურთელთა ამოცნობით შეგიძლიათ გაერთოთ.

ამასობაში კი სამშობლოში დაბრუნდა დამარცხებული საფრანგეთის ნაკრები. ემანუელ პეტის გარდა არცერთი მოთამაშე არ გასულა ქალაქში გასასვლელ კარიბჭესთან, სადაც ერთი დროის გმირებს მხოლოდ ხუთასი გულშემატკივარი ელოდა. ფეხბურთელებმა სატრანზიტო ბილეთების გაფორმება და მშობლიურ ქალაქებში წასვლამდე დარბაზში ლოდინი არჩიეს. ზინედინ ზიდანსაც აქ გადაეყარნენ იმ დარბაზში მომლოდინენი. ავტოგრაფები დარიგდა — როგორც პრეზიდენტმა შირაკმა თქვა, საფრანგეთი არასოდეს დაივიწყებს თავის გმირებს.

ზიზუ წავიდა, კობი ჯონსი კი, რომელსაც საქმე ცოტა აქვს, რადგან ამერიკელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ვიდეოზე აღბეჭდავს თავის გუნდის ტაეჯონში ჩასვლას. ამ კორეულ ქალაქში ბრიუს არენას ბიჭები პოლონელებს ხვდებიან.



REUTERS პარიზიდან

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკის ახლო ციხეში, კლონგ პრემში პატიმართა შორის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. ფოტოზე აღბეჭდილია ნიგერიელ და იაპონელ პატიმართა მატჩი. ციხეთა მუნდიალს კლონგ პრემის უცხოელი პატიმრები და საელჩოთა წარმომადგენლები ესწრებიან. ისე კი, იქ არიან ბრიტი, ტაი, გერმანელი,ფრანგი, იტალიელი, იაპონელი და ამერიკელი პატიმრების ეროვნული გუნდები.

ორ იტალიელ ტიფოზის ცხენისთავა ნიღაბი მოსწონებია. კარგი ნიღბებია, თუ ფეხბურთის ყურებაში არ შეგიშლის ხელს.



REUTERS ტაეჯონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ეაშაკიძე, პაატა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge